

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები
GEORGIAN OLYMPIC CHAMPIONS



პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
ელგუჯა ბერიშვილი

THE PROJECT AUTHOR AND EDITOR-IN-CHIEF
Elguja Berishvili

პროექტის მენეჯერი
ემზარ ზენაშვილი

THE PROJECT MANAGER
Emzar Zenashvili

პროექტის კოორდინატორი
რუსულან აფცაური

THE PROJECT COORDINATOR
Rusudan Aptsauri

ტექსტი
ოთარ მალლაკელიძე

TEXT
Otar Maglakelidze
დიზაინი
ვახტანგ შატაიძე

DESIGN
Vakhtang Shataidze

რედაქტორი
ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, დავით ჭელიძე,
კარლო ფაჩულია, ზალ მიჯაფარძე, ინგა ალავიძე,
ნანა ჯოხარიძე, მაია ბერიშვილი, ივანე ბურნაძე

EDITORIAL STAFF
**Avtandil Gurasashvili, Jemal Kasradze, David Chelidze,
Inga Alavidze, Karlo Pachulia, Zaal Anjaparidze, Nana Jokharidze,
Maia Berishvili, Ivane Burnadze**

ფოტო
გიგა გურასაშვილი, ბადრი კეთილაძე, ზურაბ უსუფაშვილი,
ალექსანდრე კოტორაშვილი, www.sportphoto.ge

PHOTO
**Giga Gurasashvili, Badri Ketiladze, Zurab Usupashvili,
Aleksandre Kotorashvili, www.sportphoto.ge**

პარტნიორი
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობა
საქართველოს ძიუდოს ფედერაცია

PARTNERS
**Georgian National Olympic Committee
Olympic Solidarity of the International Olympic Committee
Georgian Judo Federation**

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები

ჩავით ხახალეიშვილი

2011

© საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია
© GEORGIAN SPORTS WRITERS ASSOCIATION




Ծեցրջաց գամօղոնուա, Տպորդքսմենից յուտյամտ, ամա ույ ոմ Եղլուսմեղմթլց-լո Պորոնծու գամու, Կարուրա Ռոցիանաւ զեր աշնչոռ. Մյեգիւ Շեմթօցցամու, նոյն Տոնարմաւու Բիրդուուաց դա մոմազալ Վարսկավագ Բամոյալուծեցու տառ-ձանց մազանտա Նոնասենարմեցից պալուաց ար մարտուաց եղանակ ծոլմիւ. Ծլումագ արու-ան իսւտյեցու, „Նոյուրո, մացրամ Յարմաւուս“ գունս Ռոմ ար գանցյաւցնեցիւան. Պորոյւու, Տայմեց Ծեցուուագ Սագցեցուան, մացրամ գայուտացեց լու Արազմուանուա ան յերտու մծումը Գրազմա պահապար ապյունեցն. Յոցուուրտս ճաճածու-լո մուգա կոնցյուրենցուա տրցունաց դա Պորզելունծու տացու Շեյշուար ծրճուուա գաւուաս ամյացունեցն. Ծեցրու նոյուրո Տպորդքսմենու արայանսալու կոնցյուրեն-ցուու օմեցցա բրոյաւուլու գուցեց Տպորդքս.

იმედგაცრუებას შეინირა დავით ხახალეიშვილის სპორტული კარიერაც, ოლონდ ამ იმედგაცრუებას ზემოთ ნახსენებთან საერთო არაფერი აქვს. საქ-
მე უფრო იშვიათ შემთხვევასთან გვაქვს. საქართველოს ყველა დროის ერთ-
ერთი საუკეთესო ძიუდოისტი, რომელსაც არც ნიჭი აკლდა, არც ტრაგმებს
გაუწნამებია და არც ჯანსაღ თუ არაჯანსაღ კონკურენციას, ერთმა ტრაგი-
კულმა ეპიზოდმა ფსიქოლოგიურად ისე გაანადგურა, ტატამს სამუდამოდ
ჩამოაშორა. აქტიურ სპორტს 25 წლის ასაკში, იპტიმალურ სპორტულ ფორ-
მაში მყოფი დაემშვიდობა.

* * *

დავით ხახალეიშვილი 1971 წელს, ქუთაისში დაიბადა. ძიუდოს მეორე კლასის მოსწავლეებ „გაუსინჯა გემო“ და სულ მალე, პირველსავე შეჯიბრებაზე მედალი მოიპოვა. პირველ ჯილდოს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე და სპორტული აზარტიც შედევგიანობის პირდაპირპროპორციულად გაიზარდა. მას შემდეგ უამრავ ჩემპიონატსა და ტურნირში მიიღო მონაწილეობა და სამეულს მიღმა იშვიათად თუ დარჩენილა.

მონაგარი გაცილებით მდიდარი და მრავალფეროვანი იქნებოდა, რომ არა მთლიანად ქართული სპორტისთვის კრიზისული პერიოდი და... ისევ ის ერთი ეპიზოდი — 1996 წლის ოლიმპიური თამაშები.





პირველი ნაბიჯები

„ტატამზე პირველად რომ შევეღი, ცხრა წლისა ვიყავი. ჩემი ძმა ცეკვაზე დადიოდა და მეც მინდოდა, მაგრამ ცეკვის მასწავლებელმა დედაჩემს უთხრა, ჩვენთან გაუჭირდება, ძვალმსხვილი ბავშვიაო და სწორ გზაზე დაგვაყენა. ამას მამაჩემის მეგობრების რჩევაც დაემატა და ძიუდოს დარბაზში აღმოვჩნდი. ცხადია, დედა წინააღმდეგი იყო — ძალისმიერი და სარისკო სახეობააო. თავიდანვე მართლაც მივიღე რამდენიმეჯერ მცირე ტრავმა, მაგრამ ამას არ შევუშინებივარ და მე და მამამ ჩვენი მაინც გავიტანეთ. რახან ეს გზა ავირჩიეთ, პატარა პრობლემების გამო უკან დახევაზე აღარ გვიფიქრია. მოვიტყუები, თუ ვიტყვი, პირველ პერიოდშივე წარმატებულ კარიერაზე ვოცნებობდი-მეთქი. მაშინ, ვარჯიშის დაწყების უმთავრესი მიზანი ფორმაში ჩადგომა და ზედმეტი წლის დაკლება იყო, თუმც მსუქანი ისედაც არ ვიყავი.

ცხრა წლამდე არც ერთ სახეობაზე არ მივლია. ძიუდო ჩემთვის პირველი სპირტი იყო და ბოლომდე ასე დარჩა. არადა, იმ პერიოდში ქუთაისში თითქმის ყველა ფეხბურთით ცხოვრობდა. მამასაც ფეხბურთი უფრო იტაცებდა. თავად ბავშვობაში რამდენიმე სახეობაზე უვლია, მათ შორის ფეხბურთზეც, მაგრამ ძიუდოზე არასოდეს. ჩემი წინაპრებიდან მხოლოდ ბაბუის ძმა ჭიდაობდა და ისიც სამოყვარულო დონეზე — თავისუფალ სტილს მისდევდა და თბილისში, ცირკში გამართულ შეხვედრებშიც მონაწილეობდა. როცა გაიგო, ძიუდოზე რომ შემიყვანეს, გაუხარდა, იძახდა — მე დამემსგავსაო. ფიზიკური აღნაგობით ნამდვილად დავემსგავსე. საერთოდ, ტანმაღლალი წინაპრები მყავდა, ოლონდ მსუქნები არა.

ვისაც ქუთაისურ ძიუდოზე და ამ ქალაქში აღზრდილ ძიუდოისტებზე სმენია, ყველამ იცის ომარ მერაბიშვილი. ლეგენდარული მწვრთნელი, რომლის ხელშიც რამდენიმე ერთმანეთზე უკეთესი თაობა გამოიზარდა. ჩემი პირველი მწვრთნელიც ომარი იყო. იმავე დარბაზში მუშაობდნენ ზაურ მჭედლიძე და ვეფხია ბალხამიშვილიც.

ვვარჯიშობდი და ნელ-ნელა ისეთ აზარტში ჩავვარდი, რომ დარბაზში მარტო გასაჯანსაღებლად სიარული აშკარად აღარ მაკმაყოფილებდა. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდული არასერიოზულობის ხანა მეც გა-

მოვიარე, ძიუდოს მიტოვება ერთხელაც არ გამივლია გულში. ძირითადად ამ აზარტმა და მიზანდასახულობამ მიმაღწევინა წარმატებებს. შეიძლება ბუნებრივი ნიჭიც მეხმარებოდა. ჩემზე ხომ თავიდანვე დიდ იმედებს ამყარებდნენ. შედეგს სტაბილურად ვაღწევდი. ბავშვობიდან მოყოლებული, კარიერის ბოლომდე თითზე ჩამოსათვლელ შეჯიბრებაზე თუ ვიქნები მედლის გარეშე დარჩენილ, რაც დიდი მონდომების და ერთხელაც ვიტყვი, აზარტის დამსახურებაა.“

ომარ მერაბიშვილი: „1977 წლის შემოდგომაზე, სადგურ რიონიდან თბილისში, შეჯიბრებაზე მიმყავდა ქუთაისელი ძიუდოსტები — კიბორძალიძე, გუბელაძე, მიქელთაძე და სხვები, მაშინ სრულიად ახალგაზრდა ბიჭები. ხმაურობდნენ, საუბრობდნენ, ეს გასაგებიცაა, უხარიდათ შეჯიბრზე წასვლა...“

მათ ბევრის ყურადღება მიიჰყრეს, მათ შორის ერთი ჭარმაგი მოხუცი კაცის, რომელიც დაინტერესდა, თუ რა სახეობაში ვარჯიშობდნენ ახალგაზრდები.

როცა ვუთხარი, ძიუდოში-მეთქი, კიდევ უფრო დაინტერესდა, თავის ვაჟიშვილს უხმო და შემდეგ მე მომიბრუნდა: შეიძლიშვილი მყავს აგერ, ჩემი ვაჟიშვილის ბიჭი, ფიზიკურად ძლიერია, სკოლაში წლეულს შევიყვანეთ და გვინდა ძიუდოში მივიყვანოთ, გვითხრეს, კარგი ახალგაზრდა მწვრთნელი ჩამოსულა თბილისიდან, ომარი ყოფილა, მერაბიშვილი და ხომ არ დაგვეხმარებითო...“

როცა ვუთხარი, თავად ვარომარი-თქო, გაიღიმა და ასე გავიცანი ჭიჭიკო და როსტომ ხახალეიშვილები, დათოს პაპა და მამა, რომლებმაც რამდენიმე დღეში მომიყვანეს კიდევ ბუთხუზა ბიჭი“. (გაზეთი ქუთაისი, 10 დეკემბერი, 1988).

„ჩემი კუმირი, ისევე როგორც ბევრი ჩემი თანატოლის, აკაკი კიბორძალიძე იყო. ხომ გაგიგიათ გამოთქმა — თაობა ზრდის თაობას. ქუთაისში ზუსტად ასე ხდებოდა. კიბორძალიძე ჩემზე ცხრა წლით უფროსი იყო. მასთან ვარჯიშით ძალიან დიდი სკოლა გავიარე.“

პირველ წარმატებას ძიუდოზე შესვლიდან ორ-სამ თვეში მივაღწიე — ქალაქის პირველობაზე მესამე ადგილი დავიკავე. სადებიუტო შეჯიბრება კი იყო, მაგრამ კარგად მახსოვს, ოდნავადაც არ ვნერვიულობდი. შიშის მომენტი ხომ საერთოდ არ მქონდა. პირიქით, საოცარი უინით გავდიოდი ტატამზე. ეს შემართება და გამარჯვების წყურვილი ჩემს ხასიათში თავიდანვე იყო.



ვერ ვიტყვი, ძიუდომ გამომიმუშავა-მეთქი. წაგება საშინლად არ მიყვარდა და პატარაობაში, რამდენიმეჯერ ძმაც კი ვცემე, მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ რაღაც თამაშებში მაჯობა. ზოგადად, ჩხუბი საერთოდ არ მიტა-ცებდა, კონფლიქტური არასოდეს ვყოფილვარ და ზედმეტ ხმაურს დღესაც ვერ ვიტან.

ისევ პირველ ტურნირს მივუბრუნდები. მამაჩემი ჩემს მაგივრადაც ნერ-ვიულობდა და თავისი განცდა ხომ ისედაც არ აკლდა. თუმცა ცდილობდა, ეს მე არ შემემჩნია. ჩემი ჭიდაობის საყურებლად და საგულშემატკივროდ, რა თქმა უნდა, მისი ძმაკაცებიც მოვიდნენ. რომ ვთქვა, ამან დამატებით ძალა შემმატა-მეთქი, მოვიტყუები. ალბათ, ერთადერთი, რაც ამანერვიულებდა, ტრიბუნაზე დედაჩემის ჯდომა იქნებოდა. დედა კი არც ერთ შეჯიბრებაზე არ გამომყოლია.

ძალიან გადატვირთული სატურნირო გრაფიკი მქონდა და მედლების რაოდენობაც საოცარი სისწრაფით იზრდებოდა. პირველი დიდი ტურნირი და იმედგაცრუებაც ზუსტად მახსოვეს.

ქუთაისში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე ერთ-ერთ ფავორიტს, რუს ბელიკოვს ვევდებოდი. ეს უკვე სულ სხვა სიმაღლე იყო. მაშინდელი საერთო აუიოტაჟი არასოდეს დამავიწყდება. შეხვედრის დაწყებამდე უამრავი ხალხი მოვიდა და ყველამ ცალ-ცალკე დამარიგა, როგორ უნდა მეჭიდავა. ამ თითქოსდა დახმარებამ პირიქით იმოქმედა. დამემართა ის, რაც არც იქამდე და არც მას შემდეგ არასოდეს მომსვლია. ცოტა შევშინდი და რაც შემეძლო, იმის ნახევარიც ვედარ გავაკეთე. ორი თვის მერე ბელიკოვს სულ სხვა განწყობით, თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე ავულე სრულ-ყოფილი რევანში.

1985 წელს, 14 წლის ასაკში, ჭაბუკთა შორის რესპუბლიკის ჩემპიონი გავხდი და ალბათ ეს იყო პირველი სერიოზული გამარჯვება. ამ ჩემპიონობას წინ უსწრებდა რეგიონალური პირველობის რამდენიმეჯერ მოგება, შემდეგ კი საქართველოს და საბჭოთა კავშირის ასაკობრივი ჩემპიონატების „ოქროს გემოც“ გავსინჯე.

1987 წლის მარტში თბილისის სპორტის სასახლემ მოსწავლეთა საერთა-შორისო ტურნირს უმასპინძლა, ანზორ კიკნაძის სახელობის პრიზზე. მეც-

ხრეკლასელმა ხახალეიშვილმა, რომელიც სიმაღლით უკვე 188 სანტიმეტ-რი იყო და 107 კილოგრამს იწონიდა, ექვსი შეხვედრა ჩაატარა და ექვსივე ბრძყინვალედ მოიგო. ქუთაისელი მძმენონისნის გამოსვლამ ხალხი აღაფ-რთოვანა. ცნობილმა უურნალისტმა, ნოდარ გუგუშვილმა, გაზეთ „ლელოს-თვის“ დაწერილი რეპორტაჟი მთლიანად ხახალეიშვილს მიუძღვნა, სათაუ-რით — „დაიხსომეთ ეს გვარი.“

1988 წლის სეზონი დავით ხახალეიშვილისთვის საოცრად წარმატებუ-ლი გამოდგა. 17 წლის ძიუდოისტმა წლის განმავლობაში 9 ოქროსა და 2 ვერ-ცხლის მედალი მოიპოვა. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე ჭაბუკებს შორის მძიმე წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა, აბსოლუტურში — ვერცხლს და-ეუფლა, ახალგაზრდებს შორისაც მძიმე წონაში აჯობა ყველას. თბილისის, ტოკიოსა და ლენინგრადის საერთაშორისო ტურნირებზეც ოქროს დაეუფ-ლა და ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზეც. საინტერესოა, რომ ხახალე-იშვილმა ერთი შეხვედრის გარდა, ყველა სუფთად მოიგო, იმ ერთში კი 7:0 იმარჯვა. მხოლოდ ორჯერ მოიპოვა ვერცხლი და ისიც ისე, რომ ჭიდაობაში არ წაუგია. ერთხელ ფინალში ტატამზე არც გასულა, მეორედ კი მე-10 წამზე ფეხი იტკინა და შეხვედრის გაგრძელება ველარ შეძლო.

„კიდევ უფრო მდიდარი და მრავალფეროვანი იქნებოდა ასაკობრივ ჩემ-პიონატებზე ჩემი მონაგარი, ჭაბუკობის ასაკიდან, როგორც წესია, ახალგაზ-რდულში რომ გადავსულიყობავი. ფაქტობრივად, ეს ასაკობრივი ჯგუფი გამო-მატოვებინეს. თუმც მედლის მოგების შანსი მაინც მომეცა და გამოვიყენე კიდეც. საბჭოთა კავშირის ძირითად ნაკრებში მალევე გადამიყვანეს.“

1989 წლის იანვარში, ჯერაც 17 წლის ხახალეიშვილმა პირველად იჭიდა-ვა უფროსებს შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე, რომელსაც მინსკმა უმასპინძლა და ყველაზე პრესტიულ — აბსოლუტურ წონით კატეგორია-ში ვერცხლის მედალს დაეუფლა. ბელარუსის დედაქალაქში, ფინალში ქარ-თველი ძიუდოისტები დაეჭიდნენ ერთმანეთს და ხახალეიშვილი თავისზე გა-ცილებით გამოცდილ მეტოქესთან, ასევე ომარ მერაბიშვილის შეგირდთან, ავთანდილ გუბელაძესთან დამარცხდა. მძიმე წონაში დათო უმედლოდ კი დარჩა, მაგრამ მხოლოდ მან გაუწია ლირსეული წინააღმდეგობა აღარებულ ფალავანს, გრიგორ ვერიჩევს. უფრო მეტიც, შეხვედრა ფრედ დასრულდა და



მსაჯებმა „ჰანტეით“ გამარჯვება, როგორც ხშირად ხდება, ტიტულოვან მოჭიდავეს მიაკუთვნეს. ამ ეპიზოდმა ნიჭიერი ქუთაისელი მძიმენონსნის კარიერულ წინსვლას ხელი ოდნავადაც ვერ შეუშალა. ხახალეიშვილი საბჭოთა კავშირის ძირითადი ნაკრების კანდიდატი გახდა და იქაც მაღლევე დაიმკვიდრა ადგილი.

„საბჭოთა კავშირის სადებიუტო ჩემპიონატზე მსაჯებმა მართლაც ძალიან დამჩაგრეს, „ნაცნობ სახეს“ მოაგებინეს. ჩემი მეტოქე ხომ მსოფლიოს ჩემპიონი იყო. საშინლად ნერვებმოშლილი და იმედგაცრუებული ვიყავი, თვალცრემლიანი ვიჯექი დარბაზში. უცებ, ვერიჩევი მოვიდა და მითხრა — არ იდარდო, დღეს ჩემმა სახელმა მოიგო, სინამდვილეში კი შენ გაიმარჯვეო. გადამევგია. ეს მისი მხრიდან საოცარი უესტი იყო. წაგების აღიარება ძალიან დიდი ვაჟაცობაა. როგორც ჩანს, ჩემი და ვერიჩევის დაპირისპირება სპეციალისტებმაც რეალურად შეაფასეს. ძირითადი ნაკრებისკენ სწორედ იმ ჩემპიონატით გადავდგი პირველი ნაბიჯი.

ერთსაც ვიტყვი ასაკობრივ ტურნირებზე — თუ რაიმე პრობლემა შემქმნია, ისევ და ისევ ქართველებისგან. ასაკის გადაკეთება ჩვენთან ძალიან პოპულარული იყო და ერთხანს, საბჭოთა კავშირის ნაკრების პირველი ნომერი, საქართველოში მესამე ნომრად ვითვლებოდი. დაჩაგვრის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ქუთაისიდან თბილისში გადასვლაზე ვერ მითანხმებდნენ. ვარჯიშის დედაქალაქში გაგრძელების თაობაზე შემოთავაზებები ლამის ბავშვობიდანვე წამოვიდა. რით არ სცადეს, მოვებიბლეთ — საუკეთესო სპორტული და ზოგადად საცხოვრებელი პირობების შექმნა, იურიდიულ ფაკულტეტზე მოწყობა, რაც მაშინ უპრესტიულესი რამ იყო. მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმა ძალიან მიჭირდა. უარი ვთქვი რუსეთის ვარიანტებზეც.

პრინციპულობა, პირველ ყოვლისა, მამის ფაქტორმა განაპირობა. ქუთაისზე საოცრად შეყვარებული კაცი იყო და რა გასაკვირია, რომ მისი ხედვა ჩამომიყალიბდა. ამასთან, ბიჭებიც ერთმანეთთან ვიყავით შეთანხმებული, რომ ქალაქს და ჩვენს დარბაზს არაფრით არ მივატოვებდით. აქვე დავამატებ პირადი მწვრთნელის უდიდეს მხარში დგომასაც და დასკვნის სახით ვიტყვი, თბილისში რომ არ გადავედი, როსტომ ხახალეიშვილის და ომარ მერაბიშვილის დამსახურებაა.

მშობლები

ძმები — დავითი და ლევანი



„მამაჩემი ჩემს მაგივ-
რადაც ნერგიულობდა
და თავისი განცდა ხომ
ისედაც არ აკლდა. თუმცა
ცოდლობდა, ეს მე არ შე-
მემჩნია. ჩემი ქიდაობის
საყურებლად და საგულ-
შემატებულოდ, რა თქმა
უნდა, მისი ძმა ვაცებიც
მოვიდნენ. რომ ვთქვა, ამან
დამატებით ძაღა შემბა-
ტა-მეთქი, მოვიტყუები.
ალბათ ერთადერთი, რაც
ამანერგიულებდა, დედა-
ჩემის ტრიბუნაზე ჯდომა
იქნებოდა. დედა კი არ ც
ერთ შევებიბრებაზე არ გა-
მომყოლია.“



ლევანი და დავითი
დედასთან და ნათესავ
ქალბატონთან ერთად



დათო უკვე საბავშვო
ბაღში გამოირჩეოდა
თავისი ფიზიკური
მონაცემებით

დავფიქრებულვარ, რა მოხდებოდა, ყველაფრისთვის რომ ხაზი გადა-
მესვა და რომელიმე შემოთავაზებაზე თანხმობა მეთქვა? პასუხიც მაქვს —
მატერიალურად ნამდვილად მოვძლიერდებოდი, მაგრამ პროფესიული კუთ-
ხით ალბათ ჩემს თავს ზიანს მივაყენებდი. გარდამავალ ასაქში ბავშვისთვის
გონიერის არევა ბევრი რამით შეიძლება და ეს ძალიან ადვილიცაა. დარწმუნე-
ბული ვარ, ბევრ ცდუნებაზე უარს ვერ ვიტყოდი და ძიუდოსადმი ყურადღება
ჩემდაუნებურად გამეფანტებოდა. ჩემს ქალაქში კი ერთადერთი საფიქრალი
მქონდა — ძიუდო და მთელ დროს მას ვუთმობდი. მამაჩემიც მაქსიმალურად
მედგა მხარში და მაკონტროლებდა.

უკვე აქტიური სპორტსმენი აღარ ვარ და დღესაც თავისუფლად შემიძ-
ლია, ქუთაისიდან წავიდე, რათა უკეთესი პირობები შევიქმნა, მაგრამ ამის
სურვილი არც ახლა მაქვს.“

ყველაზე დასამასოვანებელი შევეძრა

„აკაკი კიბორძალიძე ჩემი კუმირი იყო და მას ვარჯიშზე არაერთხელ დავ-
ჭიდებივარ. ოფიციალურად კი ტატამზე მხოლოდ ერთხელ შევხვდით. 80-იანი
წლების ბოლოს, მოსკოვში, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე დავუპირისპირ-
დით ერთმანეთს. რა დამავიწყებს, შებოჭვით მოვუგე. სპორტსმენთა ერთი
ჯგუფი სასტუმრო „უშბაში“ ვცხოვრობდით. დარბაზიდან სასტუმროში რომ
მივედი, ბიჭებმა მითხრეს, არ ვვეგონა კიბორძალიძეს თუ აჯობებდიო. არ მო-
მიგია, დამითმო-მეთქი, რომ ვუთხარი, თქვეს — ასეც ვიფიქრეთო. ცოტა ხანში
კაკოსთვის უთქვამთ, ყველაფერი გავიგეთ, შეხვედრა დაგითმია, თავად და-
თომ გვითხრაო. სალამოს კიბორძალიძე მოვიდა, გადამეხვია, კაი კაცი ხარო.“

დამოუკიდებლობა

„1990 წელს ნაკრებთან ერთად ფეოდოსიაში გავდიოდი შეკრებას. გა-
ფართოებულ გუნდში ქართველები ბლომად ვიყავით. ერთ დღეს, თბილისი-



დან დაგვირეკეს და გვითხრეს, ქართულმა ძიუდომ დამოუკიდებლად უნდა დაიწყოს ფუნქციონირება და საბჭოთა შეკრება მიატოვეთო. მეორე დილით — წამოვედით, კარგად მახსოვს, სამი ტაქსი დავიქირავეთ. ჩამოვედით და... გავწილდით. მივხვდით, ყველაფერი მთლად ისე ვერ იყო, როგორც გვეგონა. დამოუკიდებელი დროშის ქვეშ ჭიდაობის პერსპექტივა მართლა წარმოუდგენელი ბედნიერება იყო თითოეული ჩვენთაგანისთვის, მაგრამ სიტუაცია საამისოდ ჯერ სათანადოდ არ იყო შემზადებული. ქვეყანაში ძიუდოსთვის არავის ეცალა და დიდი ჩავარდნა დაიწყო. აღარც შეკრებები, აღარც ტურნირები და ჩემპიონატები... უკვე ინდივიდუალურად ვარჯიშიც გვიჭირდა, ყველაფრის ხალისი დაკარგული გვქონდა, რადგან ამ მომზადების იქეთ არანარი პერსპექტივა არ ჩანდა.

რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ, ერთადერთი გამოსავალი საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი მნივრთნელი, ეპრაელი ვლადიმერ კაპლინი აღმოჩნდა — ძველი გუნდის კანდიდატ ქართველ ძიუდოისტებს შეგვეხმიანა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის გუნდის სახელით ჭიდაობა შემოგვთავაზა, თან განგვიმარტა — ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს დროშით გამოხვალთო. ამის გარეშე არც დავთანხმდებოდით, მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული თვალსაზრისით სხვა ნათელი წერტილი საერთოდ არ არსებობდა.

კაპლინს კი ერთადერთი სურვილი ამოძრავებდა — კარგი შედეგი. საწვრთნელი შეკრება გავიარე, ევროპის ჩემპიონატზე გავემგზავრე და აბსოლუტურ წონით კატეგორიაში ევროპის პრიზიორი გავხდი.

საქართველოში დაბრუნებული, ლამის, ერის მოღალატედ გამომაცხადეს. არადა, ტურნირზე ჩვენი დროშით გამოვედი და გაჩემპიონების შემდეგ დარბაზში საქართველოს ჰიმნი დაუკრეს. ჩემზე ბედნიერი იმ მომენტში არავინ მეგონა მსოფლიოში, მაგრამ სამშობლოში, რატომლაც, სხვაგვარად ფიქრობდნენ...

მოულოდნელი და დამამცირებელი შეფასების მიუხედავად, 1991 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მაინც ვიჭიდავე, ცხადია, ისევ საქართველოს დროშით. მეორე ადგილზე გავედი და... საქართველოში დაბრუნებულმა მორიგი საშინელი „კომპლიმენტები“ მივიღე. არ მესმის, როგორ უნდა მოვქცე-

ულიყავი, კარიერა დამესრულებინა? იმ ჩემპიონატების გარდა ხომ ჩემთვის და საერთოდ, ყველა ქართველი ძიუდისტისთვის, არც ერთი სპორტული შეჯიბრება არ არსებობდა. არც შეკრებები და არც ხელფასი.

საერთაშორისო წარმატებებს სარფიანი წინადადება მოჰყვა — რუსებმა მოსკოვში გადასვლა შემომთავაზეს, ბინას და ფინანსურ უზრუნველყოფას დამპირდნენ. საკმაოდ მაცდური წინადადებები კი იყო, მაგრამ მაღვე მივახვედრე, რომ ამის არანაირი სურვილი არ მქონდა. შემდეგ სოჭზე ჩამომიგდეს სიტყვა, სამშობლოსთან უფრო ახლოს იქნებიო, მაგრამ ამაოდ.

ბევრჯერ გამიგონია, ჩვენს სპორტსმენებს უთქვამთ, საბჭოთა კავშირის ნაკრებში მოხვედრაზე პრობლემა ქართველობის გამო მექმნებოდაო. იმიტომ არ მწყალობდნენ, რომ რუსეთში გადასვლას არ დავთანხმდიო. საბედნიეროდ, მე ამ მხრივ ერთხელაც არ დავჩაგრულვარ.“

რესტორნიდან ოლიმპიადაზე

„ბარსელონის ოლიმპიური თამაშები ახლოვდებოდა. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის გუნდის რიგებში მოხვედრა იმ დროს სამთავრობო წრებში უკვე სირცხვილად აღარ ითვლებოდა. ხანგრძლივი კამათის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ ბარსელონაში წამსვლელ ერთიან ნაკრებში ქართველებიც უნდა შევსულიყავთ. საბჭოთა კავშირის ნაცვლად ესპანეთში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის გაერთიანებულ გუნდს უნდა ესპარეზა, ოლონდ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს სპორტსმენებზე ქვოტები ჰქონდათ დანესებული. ძიუდომი ქართველებს მხოლოდ ერთი ადგილი დაგვითმეს, მაგრამ კონკრეტულად რომელი წონითი კატეგორია, წინასწარ არ ვიცოდით. მძიმე წონაში რუსეთს მსოფლიოს ჩემპიონი სერგეი კოსოროტოვი ჰყავდა და ასი პროცენტით დარწმუნებული ვიყავი, რომ ოლიმპიადაზე ჩემს წაყვანაზე სიტყვასაც არავინ ჩამოაგდებდა, მიუხედავად იმისა, რომ კოსოროტოვთან პირად შეხვედრებში არასოდეს არ წამიგია, არც ტურნირებზე და არც შეკრებებზე ჩატარებული საკონტროლო ბრძოლებისას. თან ის იმ პერიოდში მთელი სერიოზულობით უდგებოდა საქმეს, აქტი-



მამა-შვილი — დავით და
როსტომ ხახალეიშვილები

ურად ემზადებოდა და ძირითადად დროს შეკრებებსა და ტურნირებზე ატარებდა, მე კი უკვე იშვიათად ვვარჯიშობდი. მოტივაცია მაკლდა და ალბათ ამიტომაც...

ოლიმპიადამდე ერთი თვეც არ იყო დარჩენილი. ქუთაისში რესტორანში ვიჯეექი მეგობრებთან ერთად, თამადა ვიყავი. ომარ მერაბიშვილმა მომაკითხა, არიქა, ოლიმპიადის შანსი გვეძლევაო. რა თქმა უნდა, არ დავიჯერე. რესტორანში შევიპატიუჟე და კინაღამ გაგიუდა, სასწრაფოდ წამოდიო.

დილით უკვე სახლში მომადგა და... მამაჩემის დახმარებით დამიყოლია. წავედით თბილისში, ცოტა ხნით, სავარჯიშოდ. შეკრება პირობითად ერქვა, თორემ სინამდვილეში მიზეზი სულ სხვა იყო — მწვრთნელმა ქუთაისს გამარიდა. თბილისიდან მოსკოვში გადავფრინდით. რუსეთის სპორტის შეფ რუსაკასა და საქართველოს ხელისუფლებას შორის მომხდარა შეთანხმება, რომ ჩვენი ქვეყნიდან ყველა სახეობაში რამდენიმე სპორტსმენი წავიდოდა ოლიმპიურ თამაშებზე. ძიუდოში კანდიდატად მე, გიორგი ვაზაგაშვილი და ვლადიმერ დგებუაძე მიგვიჩნიეს.

პოდოლსკის სპორტულ ცენტრში კოსოროტოვთან საკონტროლო შეხვედრა მომინცვეს. მინიმალური უპირატესობით მოვუგე. წინასწარი ინფორმაციით, სწორედ იმ შეხვედრის შედეგი უნდა ყოფილიყო გადამწყვეტი, მაგრამ საოლიმპიადო შემადგენლობაში, რატომდაც, მაინც რუსი შეიყვანეს. იქ კი უკვე სამთავრობო დონეზე დაიწყო ხელახალი მოლაპარაკებები და ბარსელონის განაცხადში ჩამონარეს.

ოლიმპიურ ტატამზე გასვლამდე 18 დღე რჩებოდა.

შეიძლება სათანადოდ არ ვიყავი მზად, მაგრამ როგორც გამოჩნდა, უქმად ყოფნის პერიოდმა პირიქით, სასიკეთოდ იმოქმედა ჩემზე. დასვენება აშკარად მომიხდა. ფორმიდან ამოვარდნილიც არ ვიყავი. დასკვნითი შეკრება პოდოლსკში გავიარე.

ომარ მერაბიშვილი: „დსთ-ის ნაკრებში მოხვედრა თითქმის შეუძლებელი გახდა. წესით, გუნდი თანამეგობრობის ღია ჩემპიონატის ოქროს მედალოსნებით უნდა დაკომპლექტებულიყო, მაგრამ, რატომდაც, ქართველების შედეგიანობა ნაკრების თავიაცებს შეუმჩნეველი რჩებოდათ. ასე უსამართლოდ გამოტოვეს 1992 წლის ევროპის ჩემპიონატი დათომ



და გიორგი ვაზაგაშვილმა, რომლებიც დსთ-ის პირველობაზე ჩემპიონები გახდნენ. ის კი არა, კიდევ ერთი ქართველი ოქროსმედალოსანი, ჩელიაბინ-სკელი გივი გაურგაშვილიც არ შეიყვანეს გუნდში. მაშინ ვუთხარი ნაკრების მწვრთნელებს, რაღაც ატარებთ შესარჩევ პირველობას, შეგეკრიბათ თქვენი „რჩეულები“ და პირდაპირ წაგევყანათ-მეთქი. საქმეს კი არაფერი ეშველა და მე თბილისში წამოვედი. უფრო სხვა რამ მაფიქრებდა — თუ ევროპის ჩემპიონატზე ასეთ დღეში ჩაგვყარეს, ოლიმპიადისთვის მთლად მოგვსპობენ-მეთქი. საჭიროდ ჩავთვალე, ეს ამბავი ჩვენი სპორტის ხელ-მძღვანელობისთვის მეთქვა.

სპორტის სამინისტროს კარებში მინისტრის მოადგილე, ჯანსუდ ბაგრატიონი შემხვდა. ყველაფერი ვუამბე, ავუხსენი. ბატონმა ჯანომ — ანი მე ვიციო და მოსკოვში წავიდა. არ ვიცი, ვის და როგორ ელაპარაკა იგი იქ, მაგრამ ნაკრების ხელმძღვანელობა რომ შეშინდა, ფაქტია. ისინი დაგვპირდნენ, რომ ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მოეწყობოდა შესარჩევი შერკინებები ევროპირველობის მონაბილეებსა და სხვა ფავორიტებს შორის. გამარჯვებულები კი ოლიმპიადაზე წავიდოდნენ.

ევროპის ჩემპიონატზე თანამეგობრობის გუნდმა სრული ფიასკო განიცადა. წინასაოლიმპიადოდ კი წაკრების წევრები კისლოვოდსკში შეკრიბეს. შეკრების წინ კაპლინი დათოს შეხვდა და უთხრა, ტყუილად ნუ იწვალებ, რაც არ უნდა ქნა, ოლიმპიადაზე მაინც სერგეი კოსოროტოვი წავაო. მსოფლიოს ჩემპიონია და იმიტომო.

ამასობაში, დაგვირეკეს და გვითხრეს, პოდოლსკში შესარჩევი შეკრებებია და ჩქარა ჩამოდითო. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მოეწყო ყოფილი კავშირის რესპუბლიკების სპორტის ხელმძღვანელთა შეხვედრა. კაპლინს შემადგენლობა წინასწარ გამზადებული ჰქონია, ცხადია, ქართველების გარეშე. აქ ყოფილი კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ, ნიკოლაი რუსაკმა გამოიდო თავი — კაპლინს უთხრა, ბავშვები ხომ არ გგონივართო და სასწრაფოდ მოსთხოვა შესარჩევი შერკინებების ჩატარება.

მე და დათო ქუთაისიდან თბილისში ჩამოვედით და ოცდლიანი შეკრება გავიარეთ. შემდეგ გავემგზავრეთ პოდოლსკში. გიორგი ვაზაგაშვილს და ვლადიმერ დგებუაძესაც უხმეს.

ვაზაგაშვილმა აშკარად მოუგო მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონს, ნაზიმ ჰუსეინოვს, მაგრამ შარი მოსდეს — ახალგაზრდაა, წლეულს ერთადერთ საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონანილეობა და ამიტომ ილიმპიადაზე მაინც ჰუსეინოვს წავიყვანთო.

დგებუაძემ ზუსტად ვერ განსაზღვრა შერკინების თარიღი და თავის დღეში ზედმეტი წონა რომ არ ჰქონია, პოდოლსკში 4 კილოგრამით „დამძიმებული“ ჩამოვიდა და აღარც აჭიდავეს.

ერთი იმედი გვრჩებოდა — ხახალეიშვილი. ამან კიდევ, ზედ შერკინების წინ მითხვა, რომც მოვუგო კოსოროტოვს, მაინც არ წამიყვანენო. შემეშინდა, ასეთი განწყობა ტატამზეც არ გაჰყენეს-მეთქი, მაგრამ, საბედნიეროდ, ჩემი ეჭვი არ გამართლდა. დათომ დამაჯერებლად მოუგო მეტოქეს. შემეცოდა კიდეც კოსოროტოვი. ორჯერ ექიმის გამოძახებამაც კი მოუწია.

ამ შერკინებას კოსოროტოვის ცოლიც ესწრებოდა. როცა გამარჯვებულად დათო გამოაცხადეს, ეს ქალი ტატამზე ჩამოვიდა, გვერდით გაუარა ხახალეიშვილს და „მოგვალავ შენიო“... ძალიან უნდოდა, დათოს პროვოკაციაზე გამოწვევა, მაგრამ ამან ხმა არ გასცა. კიდევ კარგი, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ან შერკინებიდან მოხსნიდნენ, ან მილიციაში წაიყვანდნენ.

მომილოცეს ეს წარმატება და კაპლინი უცებ მეუბნება, ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულაო. იმავე დღეს, სალამოს რვა საათზე მოიწვიეს მწვრთნელთა საბჭო და თქვეს — მართალია, ხახალეიშვილმა მოიგო, მაგრამ ოლიმპიადის საგზურის ბედი კენჭისყრით უნდა გადაწყდესო. ვხედავ, ჩემს გარდა ყველამ კოსოროტოვს დაუჭირა მხარი. იმავე დღეებში, მოსკოვში მიმდინარეობდა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების სპორტის ხელმძღვანელთა თათბირი, სადაც საქართველოს მეტად ხალხმრავალი და „წონიანი“ დელეგაცია წარმოადგენდა. სწორედ იმ შეხვედრაზე გადაწყდა ბევრი რამ ქართველი ოლიმპიელებისათვის.

ჯანო ბაგრატიონის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, რუსაქმა არც თუ კულტურულად მიმართა კაპლინს, შენ რა, მასხრად გვიგდებ თუ რაშია საქმეო. დაემუქრა კიდეც და ხელახალი კენჭისყრა ჩაატარა. 8:1 მოიგო დათომ.

ასე გადაწყდა ხახალეიშვილის, როგორც ოლიმპიელის ბედი. გივი გაურგაშვილის მწვრთნელმა, ჩელიაბინსკელმა მოსეიჩუქმა მითხვა, ეს ყველაფე-



რი კარგი, მაგრამ ბიჭს ნაკრების ხელმძღვანელებს ნუ ანდობ. მათ შეიძლება საჭმელშიც კი ჩაუყარონ რაღაც და შემდეგ დოპინგ-კონტროლის საბაბით ბარსელონაში არ წაიყვანონ. ერთი დღით საქართველოში ჩამოვედი (დათოსთან თემურ ხუბულური დარჩა) და ათი ყუთი პროდუქტი ჩავიტანე. შეიძლება ითქვას, ჩემი ხელით ვაჭმევდი ჩემს მოსწავლეს. ოცდლიანი შეკრების შემდეგ, შერემეტივოს აერობიკტში დათომ მითხრა: „ომარი მასწავლებელო, აქამდე რაც ვერ მოვიგე, გამოუცდელობის ბრალი იყო. ოლიმპიადიდან კი ოქროს მედალს ჩამოვიტან“ (გაზეთი „დრონი“. თებერვალი, 1993).

„გაერთიანებულ ოლიმპიურ გუნდში საქართველოდან 12 სპორტსმენი შეგვიყვანეს, მაგრამ ძიუდოს ტურნირში ისე ჩაიარა, თანამემამულებთან შეხება არ მჰონია. ერთადერთი, ვინც ჭიდაობების დაწყებამდე გამამხნევა, ჩემი მწვრთნელი ომარ მერაბიშვილი იყო — აბა, შენ იცი, დღეს ჭიდაობაში ისეთი მონდომება უნდა ჩადო, როგორიც არასოდეს, არც ერთ შეჯიბრში. კი არ უნდა იჭიდავო, უნდა იჩხუბოო. მოკლედ, ძალიან დამმუხტა. ტრიბუნიდან მიყურებდა, მაგრამ უშუალოდ ჭიდაობებისას იქედან რჩევების მოცემა შეუძლებელი იყო. ერთი იმიტომ, რომ ხმაურში ვერ გამაგონებდა და მეორე და მთავარი, როდესაც საქმეში ჩავერთვებოდი, გვერდიდან შეძახილები საერთოდ აღარ მესმოდა ხოლმე. ნამდვილად არ მივეკუთვნებოდი ისეთ სპორტსმენთა რიცხვს, მითითებებს რომ ითვალისწინებენ.“

ოლიმპიური ოქრო და ჩართული მომავალეობა

„პირველი ოთხი შეხვედრა მოვიგე და ფინალისთვის ვემზადებოდი. იქვე, დარბაზში ერთი კუთხე მქონდა ამოჩემებული, სადაც იატაკზე ვჯდებოდი და ვისვენებდი. ვცდილობდი, შეჯიბრზე საერთოდ არ მეფიქრა. დამლაპარაკებელიც არავინ მყავდა და საკუთარ თავზე მეცინებოდა. უცებ მოვიდა 50 წლამდე ასაკის უცხო კაცი. გამეცნო, მე იაპონელი ვარო და ფინალში შენ გგულშემატკიცვრობო. თან კონვერტი გადმომცა, სტარტამდე წვენი იყიდეო. კონვერტში 300 დოლარი იდო. ამ ჟესტით უბრალოდ სტიმული მომცა, თორემ ჯერ ერთი ამხელა თანხა რაში მჭირდებოდა და მეორე და მთავარი —

სპორტსმენებისთვის წვენი უფასო იყო. დროებით დამემშვიდობა, ჩემპიონი რომ გახდები, გნახავო. ცოტა უცნაური კი იყო, რადგან ფინალში სწორედ იაპონელს ვხვდებოდი.

ნაოია ოგავა უპირობო ფავორიტად იყო მიჩნეული. მე თუ ამბის მკითხავი არავინ მყავდა, მას მუდმივად 20-კაციანი ამალა დაჲყვებოდა უკან. ფინალის დაწყებამდე ორიოდ საათით ადრე დარბაზში გასახურებლად გამოვიდა. ჩემს კუთხესთან გამოიარა და გამომხედა. ნამით შეხვდა ჩვენი მზერა ერთმანეთს და მაშინვე თვალი ამარიდა. ჩამეცინა, ემინია-მეთქი. ალბათ, ჩემს თავს შთავაგონე, თორემ საიდან უნდა მცოდნოდა, მართლა ასე იყო თუ არა. ამ დასკვნამ ჩემს განწყობაზე ძალიან კარგად იმოქმედა. ჭიდაობის დაწყებისთანავე შევნიშნე, რომ ოგავა მართლა ზედმეტად ღელავდა. ფსიქოლოგიურად ბევრად უკეთესად ვიყავი. წუთსა და ოთხ წამში მოვუგე. ჯერ იყო და იპონი მსაჯმა ვაზარით შემიფასა, შემდეგ კი ისევ ბეჭებზე დავაგდე და შევბოჭე. როგორც მერე მითხრეს, ოგავას უთქვამს, ერთ შეხვედრაში სამჯერ სუფთა წავაგეო.

„სპორტული კომპლექსი ბლაუგრანა. დღეს აქ ძიუდოისტთა ტურნირი იწყება. გამოვლინდება პირველი ოლიმპიური ჩემპიონი. შვიდიათასიანი ტრიბუნა სავსეა გულშემატკივრებით, დარბაზში ენით აუნერელი ხმაურია. ტელე-ვიდეო ტექნიკით შეიარაღებულ იაპონელებს უკვე დაუკავებიათ „სტრატეგიული პუნქტები“. იაპონელთათვის ძიუდო განსაკუთრებული მნიშვნელობის სპორტია. მით უმეტეს, დღეს ტატამზე გამოვა მათი კუმირი, 25 წლის ნაოია ოგავა — მსოფლიოს ოთხზის ჩემპიონი, ხუთი დანის მფლობელი.

1987 წლიდან მოყოლებული, ოგავას არც ერთი ტურნირი, არც ერთი შერკინება არ წაუგია, თუმცა ოლიმპიური ჩემპიონი ჯერ არ ყოფილა. იაპონელებს ეჭვი არ ეპარებათ: ოლიმპიურ „ოქროს“ აქ, ბარსელონაში მიიღებს. გამოდის, რომ ჩვენ, ქართველები ვერცხლის მედალს უნდა დავყაბულდეთ. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ დავით ხახალეიშვილი, ეტყობა სხვაგვარად ფიქრობს: „შარშან ამ დარბაზში, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი ოგავასთან წავაგე. წელს, ამ დარბაზში ოგავას უნდა მოვუგო“.

ხახალეიშვილი „დიდ გულზეა“, მაგრამ იაპონელებმა ამის თაობაზე ჯერჯერობით არაფერი იციან. პრესის ლოუაში სასტარტო ოქმები ჩამოა-



რიგეს. წილისყრის შედეგებზე სამდურავი არ გვეთქმის: ხახალეიშვილი პირველ ჯგუფშია, ოგავა — მეორეში. თუ მოულოდნელი არაფერი მოხდა, მათი გზები სწორედ ფინალში შეიყრება. ტატამზე პირველ წყვილს უხმობენ: ხახალეიშვილი — დიუფი (სენეგალი). ჩვენი ფალავნის უპირატესობა აშკარაა. შეხვედრის ბოლო წამები, ეფექტური გდება და მსაჯის შემართული მარჯვენა — იპონი! ხახალეიშვილი იოლად უმკლავდება დანარჩენ მეტოქეებსაც — კუბელ მორენოს, პოლონელ კუბაცის, უნგრელ ჩისას.

ნინ ფინალია. რა თქმა უნდა, ოგავასთან. იაპონელი წმინდად იგებს ოთხივე შეხვედრას და ამ საქმეს 7 წუთსა და 53 წამს ანდომებს. სხვა თუ არაფერი, ფსიქოლოგიური უპირატესობა აშკარად მის მხარეს არის. გარეგნულად ასე ჩანს, თორემ კაცმა არ იცის, ფინალში რა მოხდება. მაგრამ ის, რაც ფინალში ხდება, ყველა მოლოდინს აჭარბებს. 1 წუთსა და 4 წამში ყველაფერი მთავრდება. 1 წუთსა და 4 წამში! ზედიზედ ორი ილეთი და ორი ვაზარი. ეს უკვე იპონია — წმინდა გამარჯვება. ოგავა გაოგნებულია, ხახალეიშვილი — გახარებული, მაყურებელი — განციფრებული.

„დავიდ“, „დავიდ“ — გუგუნებს დარბაზი, რომელიც სპორტული სასწაულის მოწმე და მონაწილე გახდა. შეჯიბრება ყველაზე მნიშვნელოვანი, შეხვედრა — ყველაზე მთავარი, წონითი კატეგორია — ყველაზე პრესტიჟული, მეტოქე — ყველაზე ტიტულიანი, გამარჯვება — ყველაზე ეფექტური. ჩვენს აღტაცებას საზღვარი არა აქვს. ქვევით, ტატამისკენ გავრბივართ. დავითი უკვე ქართველთა „ალყაშია“. ულოცავენ, ერთმანეთს უულოცავთ...

(რა ხდება ამ დროს ქუთაისში, დავით ხახალეიშვილის სახლში? აქ ჯერ არაფერი იციან. როსტომ ხახალეიშვილი, დავითის მმართველი არ სცილდება, მაგრამ ძიუდოზე ერინტი არ დაუძრავთ: „რა გაეწყობა, ხვალამდე უნდა მოვიცადოთ. ხვალ დილით, ალბათ, რაღაცას გამოაცხადებენ... ძილი არ მექარება, რა დამაძინებს. ჩემი ძმის ხმა მომესმა. გარეთ გავედი. კი, ის არის, გვერდით ომარ მერაბიშვილი მოყვება, დათოს მწვრთნელი. ომარი, მგონი, ფეხშიშველაა. ვეკითხები, რა იყო ხალხნო, რა ამბავია-მეთქი. „ჩემპიონია, ჩემპიონი!“ ... ვერ დავიჯერე. მიმეორებენ: „დათო ჩემპიონია, გილოცავთ“. ორიოდე წუთში მეზობლებიც მოვიდნენ. დილით ზღვა ხალხი შეიკრიბა, მთელი ქუჩა ფეხზე დადგა“...)



1988 წლის სეზონი და-
ვით ხახალეშვილისთვის
საოცრად ნიმუშატებული
გამოდგა. 17 წლის ძოლეო-
სტმა წლის განმავლობაში
9 ოქროსა და 2 ვერცხლის
მედალი მოიპოვა. საბჭო-
თა კავშირის ჩემპიონატზე
ჭაბუკებს შორის მძიმე წო-
ნით კატეგორიაში ჩემპიო-
ნი გახდა, აბსოლუტურმა
— ვერცხლს დაეუფლა,
ახალგაზრდებს შორისც
მძიმე წონაში აჯობა ყვე-
ლას. თბილისის, ტოკიოსა
და ლენინგრადის საერ-
თაშორისო ტურნირებ-
ზეც ოქროს დაეუფლა და
ევროპის ახალგაზრდულ
ჩემპიონატზეც.



„ცხრა წლამდე არც ერთ
სახეობაზე არ მივლია.
ძღუდო ჩემთვის პირველი
სპორტი იყო და ბოლომ-
დე ასე დარჩა. არადა,
იმ პერიოდში ქუთაისში
თითქმის ყველა ფეხბურ-
თით ცხოვრიდდა. მამსაც
ფეხბურთი უფრო იტა-
ცებდა. თავად ბავშვობაში
რამდენიმე სახეობაზე
უვლია, გათ შორის ფეხ-
ბურთზეც, მაგრამ ძიუდო-
ზე არასადეს. ჩემი წინაპ-
რებიდან მხოლოდ ბაბუის
ძმა ჭიდაობდა და ისიც
სამოყვარულო დონეზე.“

კახი ასათიანი გვერდიდან არ სცილდება: „ყოჩაღ, დათო, ყოჩაღ!“ თამარ ბალავაძე პირველ ინტერვიუს იღებს: „რა გითხრათ, ბედნიერი ვარ, რომ საქართველო გავახარე, ჩვენი ხალხი გაიხარებს... დაჯილდოების ცერემონიალზე უხმობენ. ოქროს მედალი — დავით ხახალეიშვილს, ვერცხლის — ნაოია ოვავას, ბრინჯაოსი — დავიდ დუიეს და იმრე ჩოსს.

დარბაზი ფეხზე დგება. გაისმის საქართველოს ჰიმნი, მაღლა მიიწევს საქართველოს დროშა. ასეთი რამ პირველად ხდება ოლიმპიურ თამაშებზე. პრეს-კონფერენციის დარბაზში გადავინაცვლეთ. თითქმის ნახევარი საათი ველოდებით. კოლეგები მოდიან, გვილოცავენ, გვეკითხებიან: სად ემზადებოდა? ცოლშვილიანია? მომავალ ოლიმპიადაზე ცალკე გუნდს გამოიყვანთ? ყველაფერი აინტერესებთ.

აგრე, ჩემპიონიც გამოჩენდა. თარჯიმანი ქალი გვეკითხება: რუსულად ხომ კარგად ლაპარაკობს? ქართულის თარჯიმანი, სამწუხაროდ, არა გვყავს, იქნებ თქვენ გააფრთხილოთ, რომ რუსულად ილაპარაკოს, რამე არ შეეშალოს.

დავითს არაფერი ეშლება — დინჯად, მოზომილად პასუხობს: „ოვავა, რა თქმა უნდა, დიდი სპორტსმენია. შარშან, ამ დარბაზში, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი მასთან წავაგე. დღეს ჩემი ჯერი დადგა. ბრძოლის დაწყებამდე ვნერვიულობდი, ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ როგორც კი ტატამზე გავედი, ყველაფერმა გამიარა. მხოლოდ გამარჯვებაზე ვფიქრობდი. ძალიან მინდოდა გამარჯვება“...

კითხვებს ბოლო არ უჩანს. დავითი ჩვენსკენ იყურება: „მალე მორჩება? მეტი არ შემიძლია. ხვალ შევხვდები ყველას, თუ უნდათ, მთელი დღე ვილაპარაკებ.“ ერთი სული აქვს, განმარტოვდეს და მომხდარი გაიაზროს... პრეს-კონფერენცია მთავრდება, დავითი ავტოგრაფს არიგებს. ჩვენ, ქართველი უურნალისტები გასასვლელისკენ მივდივართ. იქ თბილისური შამპანური გველოდება, პაატა ნაცვლიშვილის მიერ საგანგებოდ ჩამოტანილი, მაგრამ საკონტროლო პუნქტში დროებით „დატყვევებული“. იქვე, პოლიციელთა თანდასწრებით ვხსნით: „ჩემპიონს გაუმარჯოს!“ ჩვენი „ქეიფი“ ამით არ მთავრდება. იმავე საღამოს, სასტუმრო „პრინცესა სოფიაში“, „საჩემპიონო“ სუფრა იძლება. სუფრას არაფერი და არავინ აკლია... პრინცესა სოფიას გარდა“ (ელგუჯა ბერიშვილი. უურნალი „ჩემპიონი“, 1992).



„თბილისში დაბრუნებული ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორ-დენით დამაჯილდოვეს. წინასწარი დაპირების თანახმად, ფულადი ჯილდოც უნდა გადმოეცათ — 5 ათასი დოლარი, მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოში ვაიგე, რომ რუსებმა თანამეგობრობის გუნდის ყველა ოლიმპიური ჩემპიონი 3-3 ათასი დოლარით დაგვაჯილდოვეს, მხოლოდ 2 ათასი დამიმატეს, ეგეც შენი 5 ათასი.“

იაპონური სამოთხე

„ბარსელონური ფინალი დასრულდა თუ არა, ის იაპონელი კაცი დაპირებისამებრ, ისევ მოვიდა. მითხრა, რომ სამშენებლო კომპანიის ხელმძღვანელი იყო და სურდა იმ კომპანიის სახე გავმხდარიყავი. გარდა ამისა, წმინდა სპორტული ინტერესიც ჰქონდა — ძიუდოს ძლიერი კლუბის შექმნა. ეს სახეობა იმიტომ აურჩევია, რომ შვილი ვარჯიშობდა ძიუდოზე. დამტვრეული ინგლისურით საუბრობდა, მეც ძლივს ვპასუხობდი, მაგრამ მაინც გავაგებინეთ ერთმანეთს. მოკლედ, დამპირდა, ტელეფონით შეგხსმიანებიო.

საქართველოში ახალი დაბრუნებული ვიყავი, დამირეკა — შენ და გიორგი ვაზაგაშვილი ჩამოდითო. მალევე გავემგზავრეთ. მასპინძელმა დიდი პატივით მიგვიღო და თავისი გეგმებიც უფრო დაწვრილებით გაგვაცნო. უკვე დაწყებული ჰქონდა ქალაქ ნიგატაში 6 მილიონ დოლარად ღირებული გრანდიოზული სპორტული კომპლექსის მშენებლობა და სწრაფადვე მიიყვანა ბოლომდე. ძიუდოს კლუბიც უმაღ ჩამოაყალიბა და გამოცდილი მწვრთნელიც აიყვანა, გვარად სიგავარა. მალე კლუბში ვლადიმერ დგებუაძეც ჩავიყვანეთ. ისეთი პირობები გვქონდა, წინასწარ ვერც კი ვიოცნებებდით. მსგავსი კომფორტი ძალიან იშვიათია.“

გიორგი ვაზაგაშვილი (ევროპის ორგზის ჩემპიონი): „თავი მართლა ზღაპარში გვეგონა. საოცრად გულუხვი მასპინძელი გვყავდა. კაცი, რომელსაც ჩვენთან, ქართველებთან ურთიერთობა ყველაფერს ურჩევნოდა. დარბაზში, სადაც ვვარჯიშობდით, ტატამებზე ჩვენი გვარ-სახელები ენერა. ასევე ჩვენი გვარ-სახელიანი პირსახოცებით ვსარგებლობდით და ძნელი სათქმელია, რამ-



ჭაბუკ დინამიულთა
საკავშირო ნაკრები.
დგას მარცხნიდან პირველი
— დავით ხახალეიშვილი

დენი იყო ამ პირსახოცების ტირაჟი, რაღაც ყოველ ხმარებაზე ახალ-ახალს ვი-ლებდით. დავით ხახალეიშვილს მთელი იაპონია აფასებდა. ძიუდოს სამშობლა და ამ სახეობას უდიდეს პატივს სცემენ. ხახალეიშვილი კი იმ პერიოდში მსოფლიო ძიუდოს კამპანა ვარსკვლავი იყო. ჩემი აზრით, არა მარტო იმ პერიოდის. დათო ყველა დროის საუკეთესო ძიუდოისტია, ვისი ჭიდაობაც კი ცოცხლად მინახავს. სამწუხაროდ, ძალიან ცუდ დროს მოუწია ტატამზე გასვლა. რომ არა ეს პრობლემა, დათოს მონაგარი გაცილებით მდიდარი იქნებოდა. დარწმუნებული ვარ, ყველა დიდი შეჯიბრის ჩემპიონი გახდებოდა და ამასთან, არაერთხელ „

„მასპინძელმა ბიზნესმენმა სამომავლო გეგმებიც გამაცნო — მინდა სა-ქართველოში იაპონიის სახლი დავდგა და ჩვენი კომპანიის ოფიციალური წარმომადგენელი შენ უნდა გახდეო. მთავრობაში მოხვედრაზეც ჩამომიგდო სიტყვა. მთავარი მოულოდნელობა კი წინ მელოდა — ერთ დღეს 5-კაციან საბჭოზე წარმადგინა. ერთ-ერთი მათგანი მისი მეგობარი ბიზნესმენი იყო, რომელსაც გასათხოვარი ქალიშვილი ჰყოლია. მოკლედ, დაოჯახება შემომ-თავაზეს. მაშინვე ვიუარე — არ შემიძლია, ქართველები ტრადიციული ხალ-სი ვართ და ასეთ გადაწყვეტილებას ვერ მივიღებ-მეთქი.



„ძიუდო ჩემთვის ატლანტის ოლიმპიადით დამთავრდა, მაგრამ ჭიდაობას ასე უცემ მაინც ვერ შეეხლის და რეაბილიტაციისთვის სამბოზე გადავერთვე. 1996 წელსვე მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვიდი და მოვიგე. 1997-ში მსოფლიო პირველობას უკვე თბილისბზე უმსპინძლა. ძველებურ ფორმაში ვერ ვიყვავი და მონაწილეობის მიღებასაც აღარ ვაპირებდი, მაგრამ ისე მთხოვეს, ხათრი ვერ გაეუტეხე. ვიჭიდავე და ისევ ჩემპიონი გავხდი.“

უზრუნველი და ლალი ცხოვრება დაახლოებით ერთ წელიწადს გაგრძელდა. ამ პერიოდში ჩვენმა კლუბმა ერთადერთ შიდა სპორტულ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. შემდეგ კი... ძალიან ცუდი რამ მოხდა — იაპონიის ძიუდოს ფედერაციაში საქართველოდან რამდენიმე წერილი მივიდა ერთი და იგივე შინაარსით. ქართული სპორტის მავანი ჩინოვნიკები ჩვენი იაპონურ კლუბში ყოფილი სანაცვლოდ გარკვეულ თანხას ითხოვდნენ. იქაური ფედერაცია ცხადია ჩვენს მასპინძელ ბიზნესმენს დაუკავშირდა და პრობლემისგან თავის ასარიდებლად ჩვენთან კონტრაქტის განტვეტა მოსთხოვა. მასაც სხვა რა დარჩენოდა, მიუხედავად იმისა, რომ არანაირი სურვილი არ ჰქონდა, ფედერაციის ბრძანება შეასრულა. კომპენსაციის სახით 20-20 ათასი დოლარი გადაგვიხადა, მოგვიბოდიშა და დაგვემშვიდობა. მას შემდეგ თვითონ ერთხელაც აღარ დამკავშირებია. წლების მერე მე დავურევე და შევიტყვე, რომ ძველებურად ვეღარ იყო. ფინანსური პრობლემები ჰქონდა. ბოლოს, სულაც გაკოტრებულა.

1993 წელი, არც თუ საუკეთესო სავარჯიშო პირობების მიუხედავად, უხვმოსავლიანი გამოდგა. ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე ოთხი მედ-

ლის მოპოვება შევძელი. განსაკუთრებით ევროპაზე გავიხარე — მძიმე წონა-შიც ჩემპიონი გავხდი და აპსოლუტურშიც.“

გიორგი ვაზაბაშვილი: „სალონიკში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე დათომ ბრძყინვალედ იჭიდავა — 2 დღის განმავლობაში 10 შეხვედრა ჩატარა და ყველა მოიგო. მეათე ბრძოლაში — აბსოლუტური წონით კატეგორიის ფინალში ბელგიელ ჰარი ვან ბარნეველდს აჯობა. იმ ფინალამდე ცოტა ხნით ადრე, შესვენებისას ტატამზე ვიყავით მე და დათო წამოწოლილები, როცა თავზე ბარნეველდი წამოგვადგა და დათოს მიმართა. სწრაფადვე გავარკვიეთ, რომ ჩემპიონობის ყიდვა უნდოდა. ორი თითო აჩვენა — ორი ათასს მოგცემო. პასუხად ღიმილი მიიღო. სწრაფად გაზარდა შემოთავაზება, მაგრამ ათამდე რომ ავიდა, როგორც იქნა მიხვდა, რომ ვაჭრობას აზრი არ ჰქონდა. დათო ხახალეიშვილისთვის ჩემპიონის ტიტული გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ნებისმიერი სარფიანი წინადადება. არადა, ყველამ კარგად იცის, იმ ჰერიონდში საქართველოში რა ცუდი ეკონომიკური სიტუაცია იყო. არც სპორტსმენებს გვილნინდა და დათოს რომ ოქროს ნაცვლად ვერცხლი აელო და ფულიც ჯიბეში ჩატარდო, ვერც ვერავინ მიხვდებოდა. ამასთან, ევროპული ოქრო-ვერცხლი მაინც წარმატებად ჩაითვლებოდა.“

სპორტის სასახლიდან დაწყებული სიყვარული

„ჩემი მეუღლე — ხათუნა კიბორძალიძე, აკავი კიბორძალიძის ბიძაშვილია და თბილისის ტურნირებზე, სპორტის სასახლეში მის საგულშემატკიცვროდ მოდიოდა ხოლმე. სწორედ სპორტის სასახლეში გავიცანით ერთმანეთი. ჩემთან ერთად ძიუდოც შეუყვარდა, აბა სხვა რა გზა ჰქონდა, მაგრამ ჩემი გულშემატკიცვრობა სულ რაღაც სამი წელი მოასწრო. დღეს უკვე ერთად ვართ გულშემატკიცვრის ამპლუაში, რადგან შვილებმაც ძიუდო აირჩიეს.

ოჯახის შექმნა ძალიან მძიმე პერიოდს დაემთხვა. არც ხელფას-პრემიები მქონდა და არც სხვა შემოსავლის წყარო. ერთადერთი, მამაჩემი მედგა გვერდით და მალე ისიც გამომეცალა, 1995 წელს გარდაიცვალა. უდიდესი დარტყმა მივიღებ. დაახლოებით წლიურადნახევარი საერთოდ, ამოვარდნი-



ლი ვიყავი ცხოვრების რიტმიდან. არ ვიცოდი, რა მექნა. ის წლები ძიუდოშიც ყველაზე რთული იყო. ამ სახეობისთვის და საერთოდ სპორტისთვის არავის ეცალა. ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებზე მაინც კი გამოვდიოდით, ოღონდ, ფაქტობრივად, მოუმზადებლად. აშკარად ვატყობლი თავს, სასურველ ფორმამდე უკვე ბევრი მაკლდა. ამის მიუხედავად, უშედეგოდ თითქმის არც ერთ ჩემპიონატზე არ დავრჩენილვარ. რომ არა პრობლემები, უფრო მეტსაც შევძლებდი. ამის პოტენცია ნამდვილად მქონდა.

იგივე მიზეზმა უფრო ადრეც დამაზარალა რამდენიმეჯერ. თუნდაც 1993 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, ფრანგ დავიდ დუიესთან. არა-და, უხერხული მონინაალმდევე არანაირად არ იყო ჩემთვის. იმავე წელს, ევროპირველობაზე, ოდნავ უკეთეს ფორმაში მყოფს წმინდად მყავდა დამარცხებული. სულ კი მასთან ექვსი მოგება მქონდა.

იმ პერიოდში უკვე ინერციითლა მივდიოდი ნინი. „უმძიმესი პერიოდის გამო, სამწუხაროდ, ბრძოლის ჟინიც ვეღარ იყო ძველებური.“

კეთილი ნების გოროფი გოლო

„1994 წელს სანკტ-პეტერბურგში კეთილი ნების თამაშები ტარდებოდა. დარწმუნებული ვიყავი, გასამგზავრებლად არავინ დამაფინანსებდა, მაგრამ მოულოდნელად, ომარ მერაბიშვილმა მახარა, ქუთაისის მთავრობამ გამოძებნა საშუალება და თანხა გამოგვიყოო. ძალიან გამიკვირდა, რადგან ადგილობრივთაგან იქამდე არანაირი ფინანსური დახმარება არ მიგრძვნია. ჩავედით რუსეთში, მაგრამ, აღმოჩნდა, რომ შეჯიბრების განაცხადიდან ამონერილი ვიყავი. ორგანიზატორებს თბილისიდან მიუღიათ წერილი, საქართველოს ძიუდოს ფედერაციის სახელით კეთილი ნების თამაშები არავინ მიიღებს მონაწილეობასო და უმაღლ ამოულიათ სიიდან ხახალეიშვილი. ჩემს მაგივრად ინდრიკ პერტელსონი ჩასვეს. გამნარებული ქალაქში გავედი და იმ თანხის ხარჯვა დავიწყე. მაშინ კი გამიმხილა სიმართლე მერაბიშვილმა — შვილო, ეგ ფული მართლა ქუთაისის მთავრობას კი არ გამოუყვია, მამაშენმა ისესხა, ჭიდაობის საშუალება რომ მოეცა შენთვის და ზედმეტ ვალს მაინც ნუღარ დაადებო.“



დავით ხახალეიშვილი
1971 წელს, ქუთაისში

დაბადდა. ძიუდოს მეორე
კლასის მოსწავლემ „გა-
უსინჯა გემო“ და სულ
მაღვე, პირველსაცე შეჯიბ-
რებაზე მედალი მოიპოვა.

პირველ ჯილდოს მეორე
მოჰყვა, მეორეს — მესამე
და სპორტული აზარტიც
შედეგიანობის პირდაპირ-
პრომორციულად გაიზარ-

და. მას შემდეგ უამრავ
ჩემპიონატსა და ტურნირ-
ში მიიღო მონაწილეობა
და სამეულს მიღმა იძგია-
თად თუ დარჩენილა.



უმძიმეს წლებში უყურადღებოდ დარჩენილ სპორტსმენებს ერთადერთ იმედად ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელი ნონა გაფრინდაშვილი მოგვევლინა. მან შეძლო, მოიპოვა დაფინანსება, რათა ჩვენთვის მინიმალური ხელფასები დაენიშნა. იმ თანხით სპორტსმენები ოჯახებს ვინახავდით.“

ახალი იაპონური გეომოსავლის ცყარო – ხელჩართული ბრძოლა

„მალე ახალი იმედი გაჩნდა. ნოდარ ექვთიმიშვილი შემეხმიანა და იაპონიაში ჩასვლა შემომთავაზა. იქაურ ხელჩართულ ბრძოლებში მონაწილეობის სანაცვლოდ საკმაოდ მაცდური წინადადება მივიღე. ჩემი რინგზე ასვლა ორგანიზატორთათვისაც სარფიანი საქმე იყო. მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონი ვიყავი და ამის გამო გულშემატკივართა მთელი არმიის მოზიდვა შეეძლოთ. იაპონია ხომ ძიუდის სამშობლოა. მართლაც, სულ მალე ყველაზე რეიტინგული მოჩეუბარი გავხდი. კარგად მახსოვს, პირველი შეხვედრის შემდეგ ცხრა ათასი დოლარი გადამიხადეს.

საბრძოლო ბიზნეში დიდი ფული ტრიალებდა. შოუები ტარდებოდა, რომლებიც ძირითადად 10 ბრძოლისგან შედგებოდა. ყოველ ჩასვლაზე მხოლოდ თითო ბრძოლის ჩატარება მიწვევდა და საკმაოდ კარგადაც მიხდიდნენ. ქართველებს გამორჩეულად გვცემდნენ პატივს. ჩემამდე გაითქვეს სახელი ძმებმა ამირან და ტარიელ ბინაძეებმა. მათ შემდეგ კი რინგზე მე, დავით გობეჯიშვილი, გია გალდავა და ზაურ ცხადაძე ავედით.

იაპონურ შოუში შემავალი შეხვედრების ბედი წინასწარვეული, მაგრამ მაყურებელმა ამის შესახებ, რა თქმა უნდა, არაფერი იცოდა. პირდაპირ გვეუბნებოდნენ, უნდა მოგვეგო თუ წაგვეგო და კონკრეტულად რომელ წუთზე. ცოტა შეურაცხმყოფელი კი იყო, მაგრამ უარს არავინ ამბობდა, რადგან შემოსავლის წყაროს დაკარგავდა. ხან ვიგებდი და ხან ვაგებდი. 2-3 წლის განმავლობაში დაახლოებით 10 ბრძოლა ჩავატარე.

სულ სხვა რამ იყო ჩხუბი K1-ის წესებით — ბრძოლა, სადაც არანაირი წინასწარი შეთანხმება და დავალება არ არსებობდა, მაგრამ K1-ში გამოს-



ვლის შემოთავაზება მხოლოდ 2005 წელს მივიღე. სპორტს კარგა ხნის ჩამოცილებული ვიყავი და როგორც არ უნდა მომენტომებინა, სასურველ სპორტულ ფორმას ვეღარ აღვიდგენდი, მაგრამ მაინც დავთანხმდი. მოგებაზეც და წაგებაზეც ოცი ათას დოლარს ავიღებდი.

საქართველოდან წაყვანილ სეკუნდანტს წინასწარ შევუთანხმდი, თუ მოწინააღმდეგებ ძალიან დამჩაგრა, განიშნებ და პირსახოცი გადმოაგდებეთქი. 5 წუთი ვიჩხუბე. ვეღარ ვსუნთქავდი, ის კი გამნარებული მიტევდა. შევატყვე, საქმე ცუდად იყო და სეკუნდანტს ვანიშნე, მაგრამ არ დამიჯერა. პირსახოცის გარეშე წავაგე.“

ატლანტა 1996

„იაპონური ჩხუბების პარალელურად, ძიუდოშიც ჩვეულებრივად ვაგრძელებდი ვარჯიშს. 1996 წლის ოლიმპიური თამაშების წინ საქმე ოდნავ დაიძრა. მატერიალურ მხარეს არ ვგულისხმობ, არც საერთაშორისო ტურნირების მომრავლებას. უბრალოდ, ახალი მუხტი გაჩნდა. ნაკრების მთავარ მწვრთნელად ბერდია გუგავა დაინიშნა. კაცი, რომელიც ყველაზე მძიმე დროს ყველაზე მეტად დამიდგა გვერდით.

ატლანტის ოლიმპიური თამაშები ჩემთვის ყველაზე დიდი სიხარულის მომტანი უნდა ყოფილიყო. მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონი ვიყავი და ისიც საქართველოს სახელით, მაგრამ დამოუკიდებელი ქართული დელეგაციის რიგებში მოგებულ ოქროს კიდევ უფრო დიდი ფასი ექნებოდა. ატლანტა ჩემი სპორტული კარიერის პიკი უნდა გამხდარიყო, მაგრამ... იმ ოლიმპიადამ მთელი კარიერა დამინგრია. ტატამზე რომ გავსულიყავი და სასირცხვილოდ წამეგო, გაცილებით მსუბუქი დარტყმა იქნებოდა ჩემთვის, ვიდრე ის, რაც მოხდა...

კენჭისყრა ტრადიციულად, ტატამზე გასვლის წინა საღამოს შედგა. მას ბერდია გუგავა დაესწრო. რომ დაბრუნდა, ვყითხე, ვის ვხვდები-მეთქი და არაფრით არ გამიმხილა. კარგა ხნის თხოვნის მერე, როგორც იქნა, სატურნირო ბადე მაჩვენა. გაოგნებული დავრჩი. წილისყრის ჩატარებამდე ჩემთვის

რომ ეთხოვათ, სასურველი ბადე მოხაზეო, ასე უნამუსოდ ვერ გავბედავდი შევსებას. ყველა ძლიერი ძიუდოისტი ბადის მეორე მხარეს მოხვედრილიყო. მე კი ფინალამდე ისეთები მხვდებოდნენ, წაგების შანსი არ არსებობდა.

ამას მიმაღლავდი? — ვუთხარი ბერდიას გახარებულმა და დავპირდი, ხვალ მედალს გაბარებ-მეტქი. თურმე ჯერ სადა ხარ, ნინ დიდი „სიურპრიზი“ გელის...


როგორც მოქმედ ოლიმპიურ ჩემპიონს, ატლანტის 1996 წლის ოლიმპიურ-რი თამაშების გახსნის ცერემონიალზე საქართველოს მედროშეობა მე შემომ-თავაზეს. გადაწყვეტილება პარლამენტს მიუღია. უარი ვთქვი, რადგან ძიუდო-ისტა შეჯიბრს მძიმე წინა ხსნიდა და გახსნის მეორე დღეს საჭიდაო მქონდა. ცერემონიალი გვიან ღამით დასრულდებოდა და დასასვენებლად დრო აღარ მრჩებოდა. დილაადრიან უკვე დარბაზში უნდა ვყოფილიყავი, ანონვაზე...“

ატლანტის ოლიმპიური თამაშების ქართული სკანდალი მსოფლიო მედიის მთავარი სასაუბრო თემა გახდა. ძიუდოს მიმომხილველმა კორესპონდენტებმა დავით ხახლეიშვილის გარშემო ატეხილ ამბავს მთელი ოლიმპიადის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა უწოდეს. უურნალისტური გამოძიებებიც მრავლად ჩატარდა. მტყუან-მართლის გარკვევა საქართველოშიც ბევრმა სცადა და უცხოეთშიც, მაგრამ ამას თავად ხახალეიშვილისთვის უკვე აღარანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ქართველ მძიმეწონოსანს უკვე აღარ ეჟურნალისტებოდა, ლამის გარანტირებული მედალი ისე დაკარგა, კი-მონო ერთხელაც არ ჩაუცვაშს.

ატლანტური პერიპეტიების გასაცოცხლებლად, 1996 წლის ზაფხულის პრესას გადავხედოთ. ცხადია, ყველაზე მეტად ქართულმა შეფასებებმა დაგვაინტერესა და პრეს-ჩანართში ძირითადი აღილი იმ პერიოდის უპრესტი-შულესი სპორტული გაზიეთის — „სარბიელის“ და ატლანტაში მისი სპეციალური კორესპონდენტის ელგუჯა ბერიშვილის გამოძიებამ დაიკავა.

ეპსი საათია, ადა, პიშვები გააღვიძე

ბერდია გუგავა (საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „დათოს ჭიდაობის წინა, 19 ივლისის ღამეს აბა რა დამაძინებ-



დავთ ხახალეიშვილი:

„გისაც ქუთაისურ ძიუ-
დოზე და ამ ქალაქში ალ-
ზრდილ ძიუდოისტებზე
სმენია, ყველამ იცის ომარ
მერაბიშვილი. ლეგენდა-
რული მწერინელი, რომ-
ლის ხელმიც რამდენიმე
ერთმანეთზე უკეთესი
თაობა გამოიზარდა. ჩემი
პირველი მწერთნელიც
ომარი იყო. იმავე დარ-
ბაში მუშაობდნენ ზაურ
მჭედლიძე და ვეფხია
ბალამიშვილიც.“

და. ტელევიზორს ვუყურე, ოლიმპიადის გახსნის რეპორტაჟს გადმოსცემ-დნენ. მერე ფოიეში ბიჭებს ვესაუბრე. ამასობაში სტადიონიდან ჩვენებიც მობრუნდნენ. იქაურა ამბები გამოვკითხე. ერთმანეთს შთაბეჭდილებები გა-ვუზიარეთ და ნომრებში გავიკრიფეთ. ძილი არ გამეეარა. ექვსის ნახევარზე წამოვდექი, თავი მოვიწესრიგე და დათოს ოთახში გავედი. ეძინა. სამი დღე ერთად ვცხოვრობდით, 15-ში კი პირადი მწვრთნელი, მერაბიშვილი ჩამოუ-ვიდა და მასთან გადავიყვანეთ.

ანზორს შევეხმიანე, მარტყოფლიშვილს — ექვსი საათია, ადე, ბიჭები გააღვიძე, წავედით აწონვაზე-მეთქი. მიპასუხა, ჯერ ადრეა, წონა ხომ არ აქვს დასაკლები, ნახევარი საათიც დაგაცადოთ, გამოიძინოს. კარგი, მე დაბლა ჩავალ და მოსაცდელთან დაგელოდებით-მეთქი.

ოლიმპიური სოფლის ტერიტორიაზე, ჩვენი კორპუსიდან გაჩერებამდე ელექტრომობილი დაგვატარებდა. მე რომ ჩავედი, ერთი უკვე იდგა და ხალ-სით ივსებოდა. მათში კუბელი მძიმე წონა, მორენო ვიცანი. აწონვაზე მიღი-ოდა. მაინც ვკითხე და დასტურის ნიშნად თავი დამიქნია. ჩვენ მომდევნოში ჩავსხედით — დათო, ანზორი და მე“.

ანზორ მარტყოფლიშვილი (საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი): „იამასიტო დაგვემგზავრა, იაპონელთა მთავარი მწვრთნელი. მეგონა, ისიც ჩვენთან, დარბაზში მოდიოდა აწონვაზე. მერე გაირკვა, რომ ეგ საქმე თურმე სატოსთვის დაუვალებია“.

გუგავა: „ავტობუსის ბაქანს რომ მივუახლოვდით, ისევ იმ კუბელს და კიდევ რამდენიმე ძიუდოისტს მოვკარი თვალი. მეთორმეტე ზონაში არ ჩა-მოსულან, გზა გააგრძელეს. ეჭვმა გამკრა, მერე კი გავითიქრე, ალბათ სხვა ბაქნიდან გასვლა არჩიეს-მეთქი. ჩვენ ამ გაჩერებაზე ველოდებით ავტო-ბუსს. საათს დავხედე, შვიდი სრულდება. უცებ ჩოჩქოლი ატყდა. პოლიცი-ელები გარბი-გამორბოდნენ და რაღაც განკარგულებებს იძლეოდნენ. ერთი ჩვენთან მოვიდა და გვითხრა: „ბომბა, პრობლემ, პრობლემ!“... ამ რია-რიაში ნახევარი საათი გავიდა. ბოლოს, როგორც იქნა, მოაყენეს ავტობუსი და შვე-ბით ამოვისუნთქეთ. გაჩერებიდან დარბაზამდე რვა-ათი წუთის გზა იყო და თავისუფლად ვასწრებდით. დათომ თქვა, რახან დრო დავკარგეთ, სოფელში ჩემს მობრუნებას და წინ და უკან სიარულს რა აზრი აქვს, ავიწონები და იქვე



დარბაზში დავრჩები. ოღონდ ანზორი უკან გაბრუნდეს, კიმონო და ცოტაც საჭმელი წამომილოსო. ცხადია, დავეთანხმეთ. ანზორი დარჩა. მე და დათო კი ავტობუსში ავედით.“

მაითხეს და არ ვუპასუხე?

გიორგი ვაზაგაშვილის გარდა, ყველა ძიუდოისტი 12 ივლისს ჩაფრინდა ატლანტიში. საორგანიზაციო საკითხთა გასარკვევად და მოსაგვარებლად უფრო ადრე ჩავიდნენ საქართველოს ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელი ჯანო ბაგრატიონი და საქართველოს გუნდის ლიდერი (ასეთი სააკრედიტაციო სტატუსი ჰქონდა), ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თანამშრომელი თამაზ თევზაძე. იგი შუამავალი და კოორდინატორი იყო გუნდსა და ორგანიზატორთა შორის.

თევზაძემ ძიუდოისტთა ნაკრების ხელმძღვანელობას გააცნო ხელთ არ-სებული ინფორმაცია. უშუალოდ მარტყოფლიშვილს ესაუბრა, რომელსაც ევალებოდა ამ სახეობაში საორგანიზაციო საკითხთა მოგვარება. გადასცა სპეციულეტენი, ვარჯიშთა განრიგი. რუკაზე ფლომასტერით მოუხაზა საცხოვრებელი, სავარჯიშო და შეჯიბრების ადგილები. სქემაზე მოუნიშნა ასევე ავტობუსის ბაქანიც. მიიყვანა საინფორმაციო ცენტრში და აჩვენა ადგილი, სადაც უნდა მიეღოთ ყოველდღიური დამატებითი ინფორმაცია.

ანონვაზე საერთოდ არ უსაუბრიათ. ამას ადასტურებს თევზაძის განმარტება და ისიც, რომ ყურადღება არავის მოუქცევია ოლიმპიური სოფლის სქემის იმ ნაწილისთვის, სადაც განმარტებულია ზონებად დაყოფის პრინციპი და მითითებულია ანონვის ადგილი — სამედიცინო ცენტრი. ეს პუნქტი ფურცელზე ფლომასტერით მონიშნული არ ყოფილა. თევზაძეც არ უარყოფდა, რომ ყურადღებით ვერ გაეცნო ყველა დოკუმენტს, მაგრამ იქვე იკითხა, ძიუდოს მწვრთნელები სად იყვნენ, თავიანთ საქმეს ბოლომდე რატომ არ მისდიესო?

თამაზ თევზაძე: „ჩვენი თანამშრომლობის პრინციპი ამგვარი იყო — თუ ვინმე რაიმე პრობლემას წააწყდებოდა, რაიმე გასარკვევ-დასაზუსტებელი გახდებოდა, ჩემი კომპეტენციის ფარგლებში მაქსიმალურად ვეხმარებოდი.

ცხადია, ეს მარტო ძიუდოს არ ეხება. სხვა სახეობების წარმომადგენლებთანაც ყოველდღიური კონტაქტი მქონდა. მაგალითად, ჩვენმა მოფარიკავემ მთხოვა, ოქნებ იარაღის შესამოწმებელი ადგილი დამიზუსტოო. მივედით და ორ წუთში გავარკვიეთ ყველაფერი. ტანმოვარჯიშეებსაც ჰქონდათ პრობლემები... ათეულობით მაგალითის მოტანა შეიძლება“.

მარტყოფლიშვილი: „როცა თამაზმა ქალალდები გადმომცა, თან ამიხსნა, სად რა იყო, ტრანსპორტი საიდან და რა ინტერვალით გადიოდა. რაც შეეხება ანონვას, გარკვევით მითხრა, შეჯიბრების დარბაზში გაიმართებაო. ისიც მოყოლა, სოფლიდან დარბაზამდე სულ ცხრა-ათი წუთის სავალიაო. ჩვენი ავტობუსი მეთორმეტე ზონიდან გადიოდა. აი სქემა. ნახე, მეთორმეტე ზონა — თევზაძემ თავისი ხელით შემომიხაზა“.

თევზაძე: „ვიცოდი, რომ მძიმე წონის ძიუდოისტთა ანონვა 20 ივლისს, დილის შვიდიდან რვა საათამდე იქნებოდა, მაგრამ კონკრეტულად სად, ამ კითხვით არავის მოუმართავს. ამის გარკვევა წამის საქმე იყო. იქვე, საინფორმაციოში დავრეკავდით და გავიგებდით. თითოეულ სახეობას თავისი სპეციფიკა, ათასი ნიუანსი აქვს და ყველაფრის ცოდნა შეუძლებელია. ვიმეორებ, არავისთვის მითქვამს, რომ ანონვა ამა და ამ ადგილას არის-მეთქი. არ ვიცოდი და როგორ ვიტყოდი.“

STOP!

„აი, სქემა. ნახე, მეთორმეტე ზონა — თევზაძემ თავის ხელით შემოხაზა (?!)“
რა კავშირია ანონვის ადგილსა და მეთორმეტე ბაქანს შორის?

ნახეთ, რა ხდება: მარტყოფლიშვილი ცრუ ინფორმაციის პირველწყაროდ თევზაძეს ასახელებს. თევზაძე ამას კატეგორიულად უარყოფს და ამბობს, ანონვის თაობაზე ჩემთვის არავის არაფერი უკითხავსო. ახლა გუგავას მოვუსმინოთ:

„ლამის სამი საათია, 20 ივლისი უნდა გათენდეს. ოლიმპიურ სოფელში, პოლში ვსხედვართ მე, დათო გობეჯიშვილი და ბიძინა მიქიაშვილი. გამოჩნდა თევზაძე. გამიხარდა. ვეუბნები — თამაზ, შენთან უნდა მოვსულიყავი,



„ატლანტის ოლიმპიური
თამაშები ჩემთვის ყვე-
ლაზე დიდი სიხარულის
მომტანი უნდა ყოფილი-
ყო. მოქმედი ოლიმპიური
ჩემპიონი ვიყავი და ისიც
საქართველოს სახელით,
მაგრამ დამოუკიდებელი
ქართული დელეგაციის
რიგებში მოგებულ ოქ-
როს კიდევ უფრო დიდი
ფასი ექნებოდა. ატლანტა
ჩემი სპორტული კარიე-
რის პიკი უნდა გამხდა-
რიყო, მაგრამ... იმ ოლიმ-
პიადამ მთელი კარიერა
დამინგრა. ტატამზე რომ
გაესულიყავი და სასირ-
ცხვილოდ ნამეგო, გაცი-
ლებით მსუბუქი დარტყმა
იქნებოდა ჩემთვის, ვიდ-
რ ის, რაც მოხდა...“

მჭირდები... თუ ძმა ხარ, მითხარი, მარტყოფლიშვილმა ხომ იცის, აწონვა სად არის, როგორ უნდა მივიღეთ იქამდე. პასუხი: „ყველაფერი იცის მარტყოფლიშვილმა, ჩაწერილი აქვს“.

კიდევ ერთი ეპიზოდი — ომარ მერაბიშვილის კომენტარი:

„18-ში კენჭისყრაზე ვიყავით. ცოტა დავაგვიანეთ. ჩვენი გუნდის რომელიღაც წევრის გვარი ტაბლოზე არასწორად ეწერა და თამაზმა გაასწორებინა. მე ვთქვი, ამას კარგს ვაკეთებთ, მაგრამ ბარემ ისიც დაგაზუსტოთ, ზეგანონვაზე სად მივდივართ-მეტქი. ანზორი შემომწყრა — რა გამიჭირეთ საქმე, რამდენჯერ უნდა გაჩვენოთო და რაღაც ქალალდი გააძრო — აგერ არის, ნახე, შემოხაზულიაო... რა უნდა მეთქვა, გავყუჩდი“.

მოკლედ ასეა: რაკი მარტყოფლიშვილი მეტს არაფერს ეკითხება, თევზადე დარწმუნებულია, რომ მარტყოფლიშვილს გასარკვევი გარკვეული აქვს;

რაკი თევზაძე მეტს არაფერს ეუპნება, მარტყოფლიშვილი დარწმუნებულია, რომ თევზაძეს სათქმელი ნათქვამი აქვს.

პარაგრაფი მეეპსე, პუნქტი მეორე

„THE NEW YORK TIMES“, 21 ივლისი: „ეს ხახალეიშვილის თანმხელები ჯგუფის უდიდესი შეცდომაა, — თქვა ბრინჯაოს პრიზიორმა, ბელგიელმა პარი ვან ბარნეველდმა, — მათ უნდა სცოდნოდათ, სად იყო აწონვა. ეს ხახალეიშვილის ბრალიცაა. მართლაც ნარმოუდენელი რამ მოხდა. გულით თანავუგრძნობ დავითს. შესანიშნავი ძიუდოისტია და შეეძლო კვლავ მოეგო ოქროს მედალი“.

ფრანსუა პიერ ბესონი (ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის ტექნიკური დირექტორი): „ჩვენ ყველანი ვწუხვართ. ეს ყველასთვის საშინელი დარტყმაა. გულდასაწყვეტია, რომ ის ადამიანები, რომლებიც ვალდებული არიან, რომ იცოდნენ წესები, მაგრამ არ იცავენ მათ, თავს ამგვარ სიტუაციაში იყენებენ“.

ბესონი ცხადია, უნინარესად ძიუდოს სპეციალისტებს გულისხმობს.

„საქართველოს ძიუდოს ფედერაციამ ჯერ კიდევ შარშან (1995 წელს), ნოემბერში მიიღო ძიუდოს ოლიმპიური შეჯიბრების ეგრეთ წოდებული „გან-



მარტებითი წიგნი“. მასში თავმოყრილია უამრავი ინფორმაცია (სხვათა შორის, ხაზგასმულია, რომ აწონვის პროცედურა შვიდიდან რვა საათამდე გაიმართება). წიგნი გვაუწყებს, რომ ატლანტის ოლიმპიური ტურნირი გაიმართება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის მიერ 1993 წელს, ჰამილტონის საგანგებო კონგრესზე დაზუსტებული და 1994 წლის 1 იანვრიდან შემოღებული წესების შესაბამისად“, — დასძინა ბესონმა.

ამ წესების მექენისე პარაგრაფის მეორე პუნქტში წერია: „მოჭიდავე, რომელიც დააგვიანებს ან არ გამოცხადდება აწონვაზე, ეთიშება შეჯიბრებას“.

მოკლედ და კონკრეტულად!

ახლა მეშვიდე პარაგრაფის პირველი პუნქტი ნახეთ: „მონაწილე ვალდებულია, იცოდეს და მკაცრად დაიცვას შეჯიბრების წესები, დებულება, პროგრამა, პირობები. აგრეთვე შესარულოს მსაჯთა ყველა მოთხოვნა“.

ისევ მეთორმეტე ზონაში დაგპრუნდეთ. ეს-ესაა, ხახალეიშვილი და გუგავა ავტობუსში ჩასხდნენ.

გუგავა: „რამდენიმე წუთში მივედით ადგილზე. დარბაზში შევირბინე — კაციშვილი არ არის. ელდა მეცა. უკანვე გამოვპრუნდი. დათო მეუბნება, მე უკვე ვიკითხე და თუ სწორად გავიგე, აწონვა სხვაგანაა, აქ არ უნდა მოვსულიყავთო. გავიქეცით ავტობუსებისკენ, ჩვენი მძღოლი ვიპოვეთ. დავუჩოქე, საათი ვუჩვენე და უკან, ოლიმპიურ სოფელში სასწრაფოდ წაყვანა ვთხოვე. ჩვენი შეშლილი სახეები რომ დაინახა, მიხვდა რაშიც იყო საქმე. დაქოქა ავტობუსი, გამოვარდა რიგიდან და გაგვაქანა ოლიმპიური სოფლისკენ. გზაში დათო მამშვიდებს: ნუ წერვაულობ, მივასწრებთ, ღმერთი არ გაგვწირავსო. მე მაწყნარებს და თვითონ უარეს დღეშია. ორ კაცს ახსენებს, ესენი ვერ გადამირჩებიანო. მეც ბოლმა მახრჩიბს, ცხადია წარამარა საათზე ვიყურები. მოვედით. რვას სამი წუთი უკლია. სამი წუთი დაგვრჩა, მაგრამ არ ვიცით, საით წავიდეთ!“

პიშვამ, აგვიანებთ!

ავტობუსის გაჩერებიდან, ვიდრე სასწრაო მიაგნებდნენ, 15 წუთი დაიკარგა. არადა, თურმე სამი წუთიც საკმარისი იყო. ოღონდ გზააბნეულებს



როსტომი,
დავითი და რეზო



ბაქანთან ვინმე დახვედროდა და მოკლე გზით გაეყვანა (აქედან სასწორამდე 200-მდე მეტრია. მიირბენდნენ და მორჩა). „ვინმეში“ ის კაცი უნდა ვიგულისხმოთ, ვინც სრულიად შემთხვევით, პირველმა გაიგო საბედისწერო შეცდომის შესახებ, გაიგო დაახლოებით 7 საათსა და 35 წუთზე, მაგრამ სამწუხაროდ, გარემოებათა გამო, შანსი ვერ გამოიყენა.

მარტყოფლიშვილი: „როცა ბერდია და დათო დარბაზში მიმავალ ავტობუსში ჩასხდნენ, სოფელში გამოვბრუნდი. სასადილოსთან იაცკევიჩს გადავეყარე. ცნობილი ძიუდოისტია, თბილისში ბევრჯერ უჭიდავია, ატლანტის ოლიმპიადისთვის კი ბელგიის ნაკრებს ავარჯიშებდა. მეგონა ამათ ჯერ საუზმე მოითავეს და დარბაზში, აწონვაზე ახლა მიდიოდნენ. იაცკევიჩმა მითხრა, დარბაზში რა გვინდა, აწონვა აქვე, სამედიცინო ცენტრშიაო (!!!)“.

ნახეთ, რა ხდება!

აგერ, ახლა, ამ გასტრონომიულ საუბარში შემთხვევით და უცაბედად ირკვევა, რომ მეთორმეტე ზონა „დანალმულია“. ბომბი 25 წუთში, ზუსტად 8 საათზე აფეთქდება.

აბა, შენ იცი, ანზორ! ახლა კი უნდა ივარგო. ყველაფერი შენს ხელთ არის. არავითარი პანიკა. ყველა ნაბიჯი გასათვლელია, თითოეული წამი — ძვირფასი. თამამად, თამამად — სწორია, ჯერ უკან, მეთორმეტე ზონისკენ. იქნებ ავტობუსი ჯერ არ გასულა, იქნებ სოფელს არ გასცილებიან. ჩაავლებ ხელს, გამოაქანებ სამედიცინო ცენტრში, შეაყენებ სასწორზე და...

მაგრამ ავტობუსი უკვე გასულია, ჩვენები არსად ჩანან. რა უნდა ქნა? აქ დალოდებას რა აზრი აქვს? აჯობებს სამედიცინო ცენტრში გავარდე და „მწონავებს“ შეატყობინო: საქმე ასე და ასეა, ხახალებშვილი შეცდომით შეჯიბრების ადგილას წავიდა, ახლავე მობრუნდებიან, ამის გამო ნუ დაგვსჯითო.

მარტყოფლიშვილი არ მიდის. იქვე, შორიახლო ტრიალებს, ჩვენებს ელოდება. დრო უმოწყალოდ გარბის. უკვე რვა შესრულდა, მაგრამ არ სჩანან.

და რა ხდებოდა ამ დროს აწონვის ოთახში, სანამ ქართველები გზაში იყვნენ? აწონვაზე პასუხისმგებელმა ფრანგმა ფრანსუა ბესონმა „სარბიელს“ განუცხადა:

„წესით, რვა საათზე ოქმი უნდა დამეხურა, მაგრამ სხვა გადაწყვეტილება მივიღე. ვიცოდი, ხახალეიშვილს უნდა ეჭიდავა, მაგრამ იგვიანებდა. მძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონი ფრანგია, დავიდ დუიე. იგი და ხახალეიშვილი ოქროს მედლის კანდიდატები იყვნენ. შესაძლოა, ჩემთვის, როგორც ფრანგისთვის ვინმეს შარი მოედო, აქაოდა, დუიეს საქმეს აკეთებ და ხახალეიშვილს მოსვლას არ აცდიო. ამიტომაც, ზუსტად რვა საათზე დავურევე ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს, კორეელ პაკს და ვუთხარი — ხახალეიშვილი იგვიანებს, მაგრამ ნება მომეცით, ათი წუთი კიდევ დაველოდო-მეთქი. ვიმეორებ, აწონვის დასრულება ზუსტად რვაზე შემეძლო, მაგრამ ათი წუთით გადავადებინე. პაკი დამთანხმდა. ქართველი მძიმეწონოსანი ათი წუთის შემდეგაც არ გამოჩნდა, პრეზიდენტმა დამირეკა და მითხრა — საქმარისია, იმოქმედე ინსტრუქციის მიხედვით. ინსტრუქციის მიხედვით კი ოქმი დაიხურა და დავით ხახალეიშვილი შეჯიბრს მიღმა დარჩა. პირდაპირ გეტყვით, ეს არის ტრაგედია. როგორც პიროვნებისთვის, როგორც სპორტსმენისთვის და თავად ძიუდოსთვის. მთელი მსოფლიო ელოდებოდა დუიე-ხახალეიშვილის ფინალს, მაგრამ ჩვენს წესებში მკაფრად სწერია: თუკი მოჭიდავე აწონვაზე არ გამოცხადდა, იგი შეჯიბრებაზე არ დაიშვება. სამწუხაროდ, ეს წესი ყველაზე ვრცელდება, მათ შორის დავითზეც, მიუხედავად იმისა, რომ იგი ოლიმპიური ჩემპიონია, უდიდესი ძიუდოისტია და რომელიც პირადად მე ძალიან მიყვარს.“

გუგავა: „რვას სამი წუთი აკლდა, როცა სოფელში შემოვედით. გაჩერებაზე ნაცნობი ვერავინ ვნახეთ. გამოვრბივართ კორპუსებისკენ. დათო მეუბნება, სასადილოში შევიხედოთ, ვინმე ჩვენიანი იქნებაო. კალეტკინს გადავეყარეთ, რუსების მწვრთნელს (ის უკვე საქმის კურსში იყო — ხუთი წუთით ადრე მერაბიშვილს შეხვედრია)“.

„ბიჭებო, აგვიანებთ! უკვე რვა საათია. სამედიცინო ცენტრში გაიქეცით. სუვენირები რომ იყიდება, იმის გვერდითაა. იქ თქვენ გელოდებიან,“ — უთხრა გუგავას კალეტკინმა.

სამწუხაროდ, იქ ქართველებს უკვე აღარავინ ელოდა.

ზუსტად თორმეტი წუთი დააგვიანეს. ცხრის თორმეტ წუთზე კარი დაკეტილი დახვდათ.



უგებური ვალიდ ალ ავაზები

„THE NEW YORK TIMES“, 21 ივლისი: „გუშინ ჯორჯის მსოფლიო კონგრესის ცენტრში მხოლოდ იმაზე საუბრობდნენ, თუ როგორ დაკარგა ოლიმპიური ჩემპიონობის პრეტენდენტმა დიდების გვირგვინი დაუმარცხებლად. ამ ინციდენტმა, ცხადია, ბევრად გაზარდა მეორე პრეტენდენტის, დავიდ დუიეს შანსები. ოთხი წლის წინ, ბარსელონას ოლიმპიურ თამაშებზე დუიემ ბრინჯაო აიღო. 21 წლის ფენომენი, დავით ხახალეიშვილი კი ჩემპიონი გახდა. ამჯერად საუკეთესო მძიმენონოსან ძიუდოისტთა მოსალოდნელი შერკინება ვერ შედგა — ხახალეიშვილი აწონვის აუცილებელ პროცედურაზე არ გამოცხადდა და დისკვალიფიკაცია მისცეს.“



„სარბიელი“, 23 ივლისი: „მოგეხსენებათ, ძიუდოში აწონვა აუცილებელი რიტუალია. თვით მძიმენონოსნებიც კი, რომელთაც ზედმეტი კილოგრამების შეზღუდვა არ აქვთ, მაინც უნდა აიწონონ. უნდა მივიდნენ დათქმულ ადგილზე, დადგნენ სასწორზე და თავიანთი წონა დააფიქსირონ. სულ ეს არის. მაგრამ ამ რიტუალს ვერაფრით შეასრულებ, თუ არ იცი, სად მიმდინარეობს აწონვა. სწორედ ეს არ ვიცოდით ქართველებმა და ამიტომაც გაგვიცურდა ხელიდან უეჭველი მედალი, პირველი — დამოუკიდებელი ქართული ოლიმპიზმის ისტორიაში“.

დავიდ დუიე: „ეს ამპავი რომ შემატყობინეს, გამეღიმა, როგორ მოახერხა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ასეთი რამის გაკეთება. ეს შეიძლება მხოლოდ ახალგედას შეეშალოს... რა თქმა უნდა, ტურნირს ხახალეიშვილი აკლდა. ის რომ ყოფილიყო, ჭიდაობა უფრო საინტერესო იქნებოდა. თუ მოჭიდავე ხარ, ბრძოლაც გიყვარს, გინდა, რომ ლირსეული მეტოქეები გყავდეს“.


„ST8 LOUIS OPSE DISPATCH“, 21 ივლისი: „ხახალეიშვილი გაგიჟებულია — რა უნდა ვუთხრა ჩემს ოჯახს, მეგობრებს. როგორ შევხედო მათ თვალებში? მე დავაღალატე ჩემი სამშობლო და საკუთარი თავიც. ეს, რა თქმა უნდა, ჩემი ბრალიცაა, მაგრამ ასეთი რამ შეიძლება ნებისმიერს დაემართოს“.

ქართველებისთვის რა შეღავათია, თორემ ასეთი რამ სხვასაც დაემართა, თანაც იქვე, ატლანტაში.

„CHICAGO SUB TIMES“, 21 ივლისი: „ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე ძიუდოისტებისთვის თურმე აწონვა ყველაზე რთული პრობლემა ყოფილა...“



ეს სამი ფოტო
ბარსელონის ოლიმპიურ
თამაშებზეა გადაღებული.
მძიმე წონის
ძიუდისტთა ფინალი:
დავით ხახალეიშვილი
და ნაიოგა ოგავა



„ნაოია ოგავა უპირობო
ფავორიტად იყო მიჩნეული. მე თუ ამბის მკითხავი
არავინ მყავდა, მას მუდ-
მიგად 20-კაციანი ამძლა
დაჰყვებოდა უკან. ფინა-
ლის დაწყებამდე ორიოდ
საათით ადრე დარბაზში
გასახურებლად გამო-
ვიდა. ჩემს კუთხესთან
გამოიარა და გამომხედა.
ნამით შეხვდა ჩვენი მზე-
რა ერთმანეთს და მაშინ
ვე თვალი ამარიდა.“

ძიუდოს ქართველმა ვარსკვლავმა ოლიმპიური ტიტული იმის გამო დაკარგა, რომ ასაწონად შეცდომით სხვაგან მივიდა. მეორე დღეს იორდანიელმა ათლეტმა ზუსტად იგივე შეცდომის გამო დაკარგა ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლება. ავაზემი აცხადებს, რომ ოლიმპიური სოფლის საინფორმაციო ცენტრში მას არასწორი ცნობა მიაწოდეს, თუმცა ფრანგულად გესონი ამტკიცებს, ანონვის თაობაზე ინფორმაცია ორჯერ გამოვაცხადეთ და თუ ვინმემ ვერ მოისმინა ან ვერ გაიგო, ეს ჩვენი ბრალი არ არისო“.

„ძიუდოისტი ვალდებულია, დილის შვიდიდან რვა საათამდე აიწონოს ოლიმპიური სოფლის სამედიცინო ცენტრში. ყველას აქვს სქემა, რომელზეც ანონვის ადგილია მითითებული,“ — განაცხადა ბესონმა.

გუგავა: „კენჭისყრა 18-ში, სამ საათზე იყო დანიშნული. ადრე გამოვედით სოფლიდან. სამის ათ წუთზე ავტობუსში ვისხედით. აქედან კონგრეს-ცენტრამდე სულ ათი წუთის გზაა. ჩვენ კი თითქმის ერთი საათი ვიარეთ. ავტობუსში მეტნილად ძიუდოს ხალხი იყო — ყველას კენჭისყრაზე ეჩქარებოდა და და მძღოლმა საშველი რომ არ დაგვაყენა, ერთი ამბავი ატეხეს“.

მარტყოფლიშვილი: „როგორც კი ავტობუსი გაჩერდა, არავისთვის დამიცდია, ეგრევე გავიქეცი. თევზააძე დარბაზში დამხვდა. დამიძახა, აქეთ მოდი, თქვენთვის ადგილი დაკავებული მაქვსო. ამასობაში გუგავა და მერაბიშვილიც შემოვიდნენ. ქალების კენჭისყრა დაწყებული იყო. ამას რომ მორჩნენ, კაცებზე მერე გადავიდნენ“.

თევზააძე: „იმ დღეს რამდენიმე ოფიციალურ შეხვედრაზე ვიყავი. ბოლოს ძალისნებს ვახლდი. მოვედი, დავვჯეჭი და მარტყოფლიშვილიც გამოჩნდა. ვერ გეტყვით, რა ითქვა ჩემამდე, მაგრამ მერე წონა და სასწორი არავის უხსენებია.“

„THE ATLANTA JOURNAL-CONSTITUTION“, 21 ივლისი: „ძიუდოისტთა ტურნირის პირველი დღე უსიამოვნო ამბით დაიწყო — 1992 წლის ოლიმპიური ჩემპიონი დავით ხახალეიშვილი ტატამზე არ დაუშვეს ანონვის პროცედურაზე გამოუცხადებლობისთვის. ქართველები ამბობენ, რომ მათ ცრუ ინფორმაცია მიიღეს და ათლეტი მსოფლიო კონგრესის ცენტრში წაიყვანეს.

ქართველებს მიაჩნიათ, რომ რვა საათი არ უნდა ყოფილიყო უკანასკნელი ვადა.



„ისინი მოვიდნენ ჩვენთან, რათა გამოესწორებინათ თავიანთი შეცდომა, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. ასეთია წესი, ისინი შეცდნენ და დაისაჯნენ. დანარჩენმა 33-მა კაცმა და 20-მა ქალმა ყველაფერი წესისამებრ გააკეთა,“ — თქვა ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა პარკმა.

პასუხისმგებელი 3. ჩოლარია

ოლიმპიური ღონისძიების კალენდარული გეგმა — 11-გვერდიანი ქართული ცნობარი გვაუწყებს:


- 20 ივლისი. ძიუდო — კონგრესცენტრი, დარბაზი 4.
- აზონვა 7:00 — 8:00 სთ. დავით ხახალეიშვილი 95 კგ.
- შეჯიბრების დასაწყისი — 9:30 სთ.

ფინალები — 15:00 სთ.


პასუხისმგებელი ვ. ჩოლარია.

მაგრამ, თურმე, ჩოლარია პასუხს არ აგებს.

მოუსმინეთ: „ვიდრე ატლანტაში გაემგზავრებოდნენ, ძიუდოისტებს საორგანიზაციო პრობლემებს ვუგვარებდი. გუნდი 12 ივლისს გაფრინდა, მე კი მოსკოვში დავრჩი — ქართველ ოლიმპიელთა სხვა ჯგუფების მგზავრობის ორგანიზება დამევალა. ბუნებრივია, ძიუდოს ნაკრებს ჩამოვშორდი, დანარჩენზე პასუხს არ ვაგებდი. თუმცა, როგორც კი აქლანტაში ჩავედი (18 ივლისს), ყველაფერი წვრილად გამოვიკითხე. მითხრეს, პრობლემები მოხსნილია, რაც გვაფიქრებდა და გვაინტერესებდა, უკვე გავარკვიეთ და დავაზუსტეთო. მეც დავმშვიდდი, საქმეში აქტიურად არ ჩავრთულვარ... იმ დილით ადრე ავდექი. გულმა არ მომითმინა და ბიჭებთან ჩავედი. ოთხი — გუგავა, მერაბიშვილი, მარტყოფლიშვილი და ხახალეიშვილი ოთახში არ დამხვდნენ. „კარგია, ბიჭები ანონვაზე წასულან“. ანზორი სასადილოსთან ვნახე. მითხრა, აზონვაზე ბერდია და დათო წავიდნენ, მე აქ დავრჩი, სხვა საქმეს მივხედავო. ვისაუზმე და მეთორმეტე ბაქნისკენ წავედი. ვხედავ, მექსიკელთა ნაკრების მწვრთნელი ელექტრომობილიდან გადმოდის. ეჭვი გამიჩნდა. ვეკითხები, საიდან მოდიხარ, აზონვა სად არის-მეთქი. სქემა გამომიწოდა — აგერ, სამედი-



„ჩემს მედლების კოლექცი-
ას მსოფლიოსა და ევრო-
პის დამსახურებით სამ-სამი
და ერთი ოლიმპიური ოქ-
რო დაგაეცლი. მზკიცებუ-
ლებად თუნდაც ფრანგი
დაგოდ დუის ნირმალების
მოვიყვან. მას შემდეგ,
რაც კარიერა დაგასრულდე,
დუი კიდევ დიდხანს დარ-
ჩა მძიმე წონის თითქმის
უკონკურენტო ლიდერად.
ამ ფრანგ ძიუდოისტთან
ჭიდაობა არასოდეს მიჭირ-
და და პირადი შეხვედრების
შედეგებით დიდი უპი-
რატესობა მქონდა.“



რობერტ შავლაგაძე და
დავით ხახალეიშვილი —
ოლიმპიური ჩემპიონები
ბერძნულ ოლიმპიადი

ცინო ცენტრში... იქით გავიქეცი. გზაზე ჩვენებს შევეფეთე, უკან ბრუნდებოდნენ. ბერდია და დათოც იქ იყვნენ“.

მორჩა! ერთმა საათმა ყველაფერი დაიტია. იმედი, ეჭვი, შიში, სასოწარკვეთა, გულისწყრომა... მერე გინებაც იყო, მუქარაც და ხელის მოქნევაც.

ახლა კი მოდიან ხელჩაქნეულები. ბრძოლის გაგრძელების არავითარი სურვილი და ნიშანწყალი.

საათსა და ათ ცუთში, თუ მოიდომა, ქვეყანას შეპრაპ

ბრძოლა სხვამ გააგრძელოს. შეჯიბრება ათის ნახევარზე იწყება. ახლა ცხრის ოცი წუთია. ვიღრე ტატამზე პირველი წყვილი გამოსულა, შანსი დაკარგული არ არის.

„THE NEW YORK TIMES“, 21 ივლისი: „ირლანდიელ მოცურავე ქალს, მიშელ სმიტს არ გაუვლია 400 მეტრზე თავისუფალი სტილით მოცურავეთა შერჩევა, რომლის ვადაც 5 ივლისს იწურებოდა. მან ეს მხოლოდ 7-ში გააკეთა, როცა ატლანტაში ჩავიდა. ირლანდიელთა პეტიცია მიიღეს და მიშელ სმიტი ოლიმპიურ თამაშებზე დაუშვეს...“

ვინ იცის, რატომ უბოძა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა სმიტს გამონაკლისი. წუთუ იგივე არ უნდა გაეკეთებინა ქართველი მძიმენონსანი ძიუდოისტის, ოლიმპიური ჩემპიონის დავით ხახალეიშვილის მიმართ?“

არ უნდა გაეკეთებინა! ვერც გააკეთებდა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დავით ხახალეიშვილის ამბავი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის-თვის არავის უცნობებია და დახმარებაც არავის უთხოვა.

კაცმა არ იცის, რას მოიმოქმედებდა სოკ-ის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი ან სხვა რომელიმე დიდმოხელე, რა ჭეუაზე დადგებოდა და რა პასუხით გამოისტუმრებდა ქართველებს, მაგრამ რადგან თუნდაც მცირედი შანსი იყო, იქნებ ბედი ეცადათ...

წინ კიდევ ერთი საათი და ათი წუთია.

მაგრამ სად არის ის კაცი, ვინც ბედისწერის ბორბლის წალმა დატრიალებას ეცდება.



ანდრო რაზმაძე (საქართველოს ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელის თანაშემწე): „იმ დამეს ყველამ გვიან დავიძინეთ. მე ჯანოსთან ოთახში დავრჩი. მოვილაპარაკეთ, რომ ჯანო, თამაზი და ამირან აბესაძე დილით ძიუდოზე მე მიმყავდა მანქანით.... დილით შემოდის ბუთია, ჩვენი ექიმი და იძანის: დავილუპეთ, ხახალეიშვილს დოპინგის კონტროლი არ გაუვლიაო. ამ მომენტში თამაზიც შემოვიდა. ჩვენ გაგვიკვირდა. ვიცოდით, რომ დოპინგს შეჯიბრების მერე ამონებენ... დაახლოებით ცხრის ოცი წუთი იყო, ან ათი წუთი, ზუსტად ვერ გეტყვით. მე, თამაზი და ამირანი მანქანით გავვარდით დარბაზში. გვეგონა, რომ დათო იქ იყო. ჯანო დარჩა სოფელში. რატომ? ვერ გეტყვით. ჯანო არ წამოსულა. გზას 15-20 წუთი სჭირდებოდა, ჩვენ 7 წუთში მივედით. არც ერთ წითელზე არ გამიჩერებია, ფარები და ავარიული ჩართული მქონდა. ამირანი და თამაზი დარბაზში შევიდნენ, მე დავრჩი და ძრავა ჩართული დავტოვე — მეგონა დაათოსთან ერთად უკან გამოპრუნდებოდნენ და ისევ სოფელში მოგვიწევდა წასვლა. დიდხანს არ გამოჩნდნენ და მეც მივყევი. დარბაზში გავიგე ყველაფური... მსაჯთა მაგიდაზე მოჭიდავების სია იდო. ხახალეიშვილს ხაზი ჰქონდა გადასმული.“

„THE NEW YORK TIMES“, 21 ივლისი: „მსაგავსი ინციდენტები ადრეც მომხდარა. მაგალითად, 1972 წელს მიუნხენში ამერიკელმა სპრინტერებმა ედი ჰარტმა და რეი რობინსონმა 100 მეტრზე მეოთხედფინალურ გარბენზე დააგვიანეს. მიზეზი ის იყო, რომ მწვრთნელს თურმე განრიგის ძველი ვარიანტით უსარგებლია. 1988 წელს, სეულში, საშუალო წონის მოკრივემ, ამერიკელმა ენტონ ჰემბრიკმა გააცდინა ჰირველივე ბრძოლა, რადგან მისმა მწვრთნელმა არასწორად წაიკითხა განრიგში მითითებული თარიღი...“

ატლანტის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ძიუდოს მენეჯერმა ბილი როსენბერგმა ყველაფერში მხოლოდ სპორტსმენი დაადანაშაულა: „მე ერთი რამ ვიცი — ერთადერთმა ძიუდოისტმა ვერ გაარკვია ანონცის ადგილმდებარეობა. ეს თავისთავად მეტყველებს ბევრ რამეზეო.“

თევზაძე: „დარბაზში მევლუდ ლობჟანიძე დამხვდა. დამიდასტურა, რომ ხახალეიშვილს შეჯიბრებაში არ უშვებენ. მიზეზი მანაც არ იცოდა. მითხრა, აი, ეს არის ფრანგი, ანონვას ეს ხელმძღვანელობდა, მაგის ჩანყობილი იქნებაო... მივედით ბესონთან, შეიცხადა, ველოდეთ ხახალეიშვილს, მაგრამ არ



ძიუდოს საერთაშორისო
ფედერაციის პრეზიდენტი
მარკუს ვიზერი და
დავით ხახალეიშვილი

გამოჩნდათ. პარკთან მიმიყვანა, ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტთან. იმანაც შორს დაიჭირა ჩვენი თხოვნა — ჩვენ წესებს ვემორჩილებით, დანარჩენი საორგანიზაციო კომიტეტს მოკითხეთო“.

მევლუდ ლობჟანიძე (საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების წევრი): „დარბაზში რვა საათზე მივედი, დათო უნდა გამეხურებინა. გზაში სხვა მძიმეწონოსნები მეკითხებოდნენ, სად არის, რატომ არ აიწონაო. ვინ წარმოიდგენდა, რომ სასწორს ვერ მიაგნებდნენ... ისე, რაც ატლანტაში ჩავედით, ანონვაზე საუბრისთვის ყური არ მომიკრავს. ეს იმდენად ჩვეულებრივი ამბავია, მეგონა, ყველაფერი გარკვეული იყო“.

ბესონი: „სამწუხაროა და დასანანია, რომ ოლიმპიურმა ჩემპიონმა, რომელსაც წინ ფანტასტიური კარიერა ელოდებოდა, ვერ შეძლო ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა. ასეთი დიდი შეცდომის შემდეგ ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვეძლო. ოფიციალური ანონვის პროცედურა ზუსტად ერთი საათი გაგრძელდა. მე მქონდა საკონსულტაციო საუბარი ძიუდოს ფედერაციის ხელმძღვანელებთან. გავარჩიეთ მიზეზები, თუ რატომ ვერ შეძლო ოლიმპიურმა ჩემპიონმა ანონვაზე მოსვლა. საბოლოო გადაწყვეტილება ჩემზე არ იყო დამოკიდებული. ბოლო სიტყვას ფედერაციის პრეზიდენტი ამბობს და ჩვენს წესებს ემორჩილება. წინა დღეებში ორჯერ გამოვაცხადეთ ანონვის დრო და ადგილი. გზისთვის ერთი საათი ჰქონდათ. ასეთი რამ



ოლიმპიურთა
საერთაშორისო ფორუმზე
დაფიქტურული
და ნინო სალუქვაძე

არ უნდა შეგეშალოს. მართალია, დავით ხახალეიშვილი ოლიმპიური ჩემპიონია, მაგრამ ჩვენ არც ერთ შემთხვევაში არ გვქონდა გამონაკლისის დაშვების უფლება. წესი ყველასთვის ერთია. არც იმას აქვს მნიშვნელობა, ვინ შეცდა — თავად ხახალეიშვილი თუ მისი თანმხლები პირები. მთავარია, რომ წესი დაირღვა“.

ჩართველთა გული უდია დასჯილიყო

კორეელმა იონგ სანგ პარკმა ხახალეიშვილის ინციდენტის გამო უურნალისტთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის პასუხები მოკლე და კონკრეტული იყო: „ქართველთა გუნდი ამ შეცდომისთვის აუცილებლად უნდა დასჯილიყო. მათ თავის გასამართლებელი მილიონი მიზეზი აქვთ, მაგრამ ფაქტი ერთია — ძიუდოისტი შვიდიდან რვა საათამდე აწონვაზე არ გამოცხადებულა. ელემენტარული რამეა — თუ სპორტსმენს სურს იბრძოლოს, აწონვის პროცედურაზე დროულად უნდა მივიდეს. ხახალეიშვილმა დააგვიანა, დანარჩენები მივიდნენ. ადვილად მისალები გადაწყვეტილება არ იყო, მაგრამ ჩვენ სხვა გზა არ გვქონდა, წესი ყველასთვის წესია. აწონვის თაობაზე და სხვა პროცედურებ-

ზე დეტალურად ვისაუბრეთ 18 ივლისს, კენჭისყრაზე. ვინც იყო, ყველამ ყველაფერი გაიგო, ქართველებს რა დაემართათ?“

ერთხელაც ჩავულრმავდეთ დაგვიანების დეტალებს. მწვრთნელებმა დაგვიანების მიზეზებში ავტობუსიც ახსენეს. ვის რა უფლება აქვს, ამაში ეჭვი შეიტანოს, მაგრამ ერთი კითხვა კი თავისით იბადება: თუ კენჭისყრის დღეს სამი კილომეტრის გავლას ათი წუთის ნაცვლად თითქმის საათი მოუნდნენ, რა გარანტია იყო, რომ იგივე მარშრუტს ორიოდ დღეში ათიოდ წუთში გაივლიდნენ. მით უმეტეს, 20 ივლისს, ოლიმპიური თამაშების პირველ სატურნირი დღეს. თადარიგი რატომ არ დაიჭირეს და სოფლიდან უფრო ადრე არ გამოვიდნენ?

როგორც ჩანს, ამაზე არავის უფიქრია და არც დელეგაციის ხელმძღვანელთა ყურამდე მისულა კენჭისყრაზე დაგვიანების ამბავი.

„ძიუდოს ნაკრები თითოთ საჩეკენებელი გუნდი იყო. იქ გამოცდილი და სამაგალითო ხალხი მუშაობს და ძალიან მიჭირს ახსნის მოძებნა. ამას ვერავის გადააბრალებ, პასუხისმგებლიბა მწვრთნელებს ეკისრებათ. ყველანი პასუხს ვაგებთ, მათ შორის მეც. ძიუდოისტებისგან ამას არ მოველოდი,“ — განაცხადა მომხდარიდან რამდენიმე დღეში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჯანმ ბაგრატიონმა.

„სარბიელი“, 23 ივლისი: „20 ივლისს დილას ქართველები შესანიშნავ ხასიათზე ვიყავით. ჩვენთვის ისტორიულ ოლიმპიურ თამაშებს უსახელოვანესი ძიუდოისტი, დავით ხახალეიშვილი უდებდა სათავეს და ყველა წესისა და კანონის მიხედვით, უმედლოდ არ უნდა დარჩენილიყო. დათოს ისეთი კენჭისყრა შეხვდა, უკეთესა ვერ ინატრებდი. ორი ძირითადი კონკურენტი (აბა მეტი არც ჰყავს) ფრანგი დუიე და იაპონელი ოგავა ფინალამდე არ შეხვდებოდნენ. მოკლედ, ხახალეიშვილიც კარგ განწყობაზე იყო, დანარჩენებს კი, რა დასამალია, უკვე ოლიმპიური მედალი გველანდებოდა.“

„სარბიელი“, 23 ივლისი: „თავად ხახალეიშვილი ვაჟკაცურად შეხვდა ამ ამბავს. გარეგნულად არაფერს იმჩნევდა, თუმცა გულში რა ცეცხლი უტრიალებდა, ადვილი მისახვედრია. ერთი რამ კი ფაქტია: კაცი, რომელიც ატლანტაში ოქროს მედლის მოსაპოვებლად ჩამოვიდა (და ამის გაკეთება რეალურად შეეძლო), ისე ტოვებს ოლიმპიურ თამაშებს, ტატამზე არც კი გასულა.



მორალურის გარდა, მატერიალურ მხარესაც შევეხოთ: დათოს სოლიდური ფულადი პრემიის მიღებაც შეეძლო. მაგრამ, ვიღაცის დაუდევრობის გამო, სახელთან და დიდებასთან ერთად, ესეც დაკარგა“.

„განადგურებული ვიყავი. თანაგრძნობაც კი არავისგან მიგრძვნია. ალბათ ყველას თავისი თავის შეეძნდა. ერთადერთი კაცი, ვინც მომხდარი საკუთარ თავზე აიღო, ბერდია გუგავა იყო. არადა, სინამდვილეში, აბსოლუტურად უბრალო იყო. უმთავრესი მიზეზი ქართული არაორგანიზებულობა და საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებაა. მარტივ მაგალითს მოვიყვან. სასტუმროს ერთ კუთხეში სპეციალური ყუთები იდგა, რომლებსაც ქვეყნების სახელები ეწერა და ორგანიზატორები ამ ქვეყნების დელეგაციებისთვის საჭირო ინფორმაციას იმ ყუთებში ანთავსებდნენ. ქართველებისთვის განკუთვნილ ყუთში წერილები რომ აღარ ეტეოდა, დაბლა ეყარა.

რახან ბერდია გუგავამ ასეთი თამამი ნაბიჯი გადადგა, უცებ ყველამ მას შეახოცა ხელი. იმის მერე ბერდიას ვთხოვე, ჩემი შვილის ნათლია გამხდარიყო.

საქართველოში დაბრუნებულს დეპრესია გამიასმაგდა. უურნალისტების მხრიდან უდიდესი ინტერესი იყო, მაგრამ ამ საკითხზე კომენტარის გაკეთება ჩემ თავს ავუკრძალე. ვფიქრობდი, რამე რომ ვთქვა, ამით ჩვენ ძიუდოს მივაყენებ შეურაცხყოფას-მეთქი. არადა, ჩემზე ვინ იფიქრა? ორი-სამი თვე სახლიდან არ გამოვსულვარ და ელემენტარული ყურადღებაც კი არ მიგრძნია იმათგან, ვინც ვალდებული იყო, შემხმიანებოდა და გავემზნევებინე.

მალევე გავრცელდა ათასგვარი ჭორი, ერთი და იგივე შინაარსით, თითქოს ოლიმპიური ჩემპიონობა გავყიდე. რამდენიმე თვეში თბილისში მივდიოდი, მანქანას საბურავი დაუზიანდა და ვულანიზაციასთან გავაჩირე. შევედი და ჩემზე საუბარს შევესწარი. ვიღაც ამბობდა, ორასი ათასი აულიაო და იქვე მამართლებდა — ღმერთმა გაუმარჯოს, ჭკვიანი კაცი ყოფილაო. აბა, ეს მათხოვრები რისი მიმცემები იყვნენო. მეორე კატეგორიულად უარყოფდა — შორიდან ვიცნობ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მაგას არაფრით არ იზამდაო. პირველი ამტკიცებდა, უეჭველი ვიციო. ლაპარაკში ჩავერთე, ორასი ათასი კი არა, ნახევარი მილიონი აქვს აღებული-მეთქი. პირველმა ნიშნის მოგებით დამიკრა თავი, ხოლო ვინც მიცავდა, იმან მიცნო. საშინლად უხერხულმა სიტუაციამ დაისადგურა.



„ჩემი მუსლიდე —
ხათუნა კიბორძალიძე,
აკაკი კიბორძალიძის
ბიძაშვილი და თბილისის
ტურისტებზე, სპორტის
სასახლეში მის საგულ-
შემატევივროდ მოყოფა
ხოლმე. სწორედ სპორტის
სასახლეში გაიცანთ
ერთმანეთი. ჩემთან ერ-
თად ძიუდოც შეუყვარდა,
აბა სხვა რა გზა ჰქონდა,
მაგრამ ჩემი გულშემოტ-
კივრობა სულ რდაც სამი
წელი მოასწრო. დღეს
უკვე ერთად გართ გულ-
შემატევივრის ამპლუაში,
რადგან შეილებმაც ძიუ-
დო აირჩიეს.“



ძიუდო ჩემთვის ატლანტის ოლიმპიადით დამთავრდა, მაგრამ ჭიდაობას ასე უცებ მაინც ვერ შეველიე და რეაბილიტაციისთვის სამბოზე გადავერთე. 1996 წელსვე მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვედი და მოვიგე. 1997-ში მსოფლიო პირველობას უკვე თბილისმა უმასპინძლა. ძველებურ ფორმაში ვერ ვიყავი და მონაწილეობის მიღებასაც აღარ ვაპირებდი, მაგრამ ისე მთხოვეს, ხათრი ვერ გავუტეხს. ვიჭიდავე და ისევ ჩემპიონი გავხდი. ხასიათი ოდნავ კი გამომიკეთდა, მაგრამ ძიუდოს ტატამზე დაბრუნებაზე ერთი წუთითაც აღარ მიფიქრია. რომც მომენდომებინა, სასურველი კონდიციების აღდგენა ძალიან გამიჭიდებოდა.“

ისევ ძიუდო

„ძიუდოს გარეშე ცხოვრება ნამდვილი წამება იყო. ყველაზე მეტად გული იმაზე მტკიოდდა, რომ ძიუდოს დიდი ოჯახის წევრადაც აღარ მთვლიდნენ. დაბრუნების სურვილი, პირველ ყოვლისა, სწორედ უყურადლებობამ გამიჩინა. პროტესტის გრძნობა გამიჩნდა და გადავწყვიტე, ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებზე კანდიდატურა წამომეუყნებინა. ორი მცდელობა მქონდა და ორივე წარუმატებელი, მაგრამ ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტობა შემომთავაზეს. დავთანხმდი.

2009 წელს იმერეთის ძიუდოს ფედერაცია ჩამოვაყალიბეთ, რეგიონში ამ სახეობის უფრო მეტად განსავითარებლად.

სულ რაღაც 4 წელია, რაც უფროს ვაჟს, როსტომს ძიუდოში ვარჯიში დავაწყებინე. უკვე 13 წლის იყო და მის პროფესიონალობაზე არც კი მიფიქრა. უბრალოდ, მინდოდა, ფიზიკურად მომექლიერებინა. დატვირთვებსაც ნელ-ნელა ვაჩვევდი, მაგრამ საკმაოდ კარგად აუღო ალლო და საერთაშორისო კარიერაც ჩემზე უკეთ დაიწყო — 15 წლისამ უკვე ჭაბუკთა შორის მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი აიღო. ამ წარმატების მიუხედავად, როსტომის გაკეთებულს ჯერ სერიოზულად მაინც არ ვუყურებ, თუმც იმედი კი მაქვს, რომ შედეგი მომავალშიც ექნება. მთავარია, მრომისუნარიანობა და ნებისყოფა ეყოს. თუ ამას მოახერხებს, დარწმუნებული ვარ, სწორი გზით



განვითარდება. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, მარტო მე რაც არ უნდა მოვინ-დომო, არაფერი გამოვა.

როსტომის დიდ ძიუდოში ჩართვა ჩემი არჩევანი არ ყოფილა. სურვილი, რა თქმა უნდა, დიდი მქონდა, მაგრამ მაინც არავითარ შემთხვევაში არ ჩავე-რეოდი, თვითონ რომ არ შეყვარებოდა ეს საქმე. რომ დავინახე, ყველაფერი ისეა, როგორც მე მსურდა, ძალიან გამიხარდა. უფრო მეტიც, მაგით ვცხოვ-რობ... მეორე ვაჟი — რეზო 15 წლისაა და ისიც აქტიურად ვარჯიშობს, მაგ-რამ ტრავმამ ნახევარი წელი დააკარგვინა.“

და პოლოს...

„ჩემს მედლების კოლექციას მსოფლიოსა და ევროპის დაახლოებით სამ-სამი და ერთი ოლიმპიური ოქრო დავაკელი. მტკიცებულებად თუნდაც ფრანგი დავიდ დუიეს წარმატებებს მოვიყვან. მას შემდეგ, რაც კარიერა და-ვასრულე, დუიე კიდევ დიდხანს დარჩა მძიმე წონის უკონკურენტო ლიდერად. ამ ფრანგ ძიუდოისტთან ჭიდაობა არასოდეს მიჭირდა და პირადი შეხვედრების შედეგებით დიდი უპირატესობა მქონდა.

ცუდ პერიოდში მომიხდა ჭიდაობა და იმითაც კმაყოფილი ვარ, რასაც მივაღწიე. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ტკივილი მივიღე, არაფერს ვნახობ. შედარებით კარგ პერიოდს ჩემი შვილი მოესწრო და ახლა მან გამახაროს.“

დავით ხახალეიშვილი

დაიბადა 1971 წლის 28 თებერვალს ქუთაისში. ძიუდო (+95 კგ). XXV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1992, ბარსელონა), მსოფლიოს ჩემპიონატის ორგზის მეორე (1991, 93) და ორგზის მესამე (1993, 95) პრიზიორი, ევროპის სამგზის ჩემპიონი (1993, +95 და აბსოლუტური, 1996, +95) და მესამე პრიზიორი (1990), მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი სამბოში (1996, 97), სსრკ ხალხთა X სპარტაკიადის (1991) და სსრკ ჩემპიონი (1991) ძიუდოში, დათ-ის ჩემპიონი (1992). XXVI ოლიმპიურ თამაშებში (1996, ატლანტა) ანონაზე დაგვიანების გამო მოხსნეს შეჯიბრებიდან. ვახტანგ გორგასლის II ხარისხისა და ღირსების ორდენების კავალერი.



DAVID KHAKHALEISHVILI

Judoist (+95 kg), was born on February 28, 1971 in Kutaisi. He was a champion of XXV Olympic Games (Barcelona, 1992), twice silver (1991, 1993) and twice bronze (1993, 1995) of the world championships. He was three-time champion of Europe (1993, +95 and absolute weigh group, 1996, +95) and won bronze in 1990. He was twice world champion in Sambo (1996, 1997), champion of the 10th USSR sports and athletics meeting (1991) and the USSR champion in Judo (1991). In 1992 he became champion of CIS. At the XXVI Olympic Games (Atlanta, 1996) he was disqualified for being late at the weighing. Khakhaleishvili was decorated with Vakhtang Gorgasali Order of the 2nd class and Order of Honor.